განთლების მუშაკი

№ გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1928 11

„განათლების მუშაკის“ გამოცემანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასახყიდად

1. კალენდარი თვიური კალენდარი ყველა უქმეებისა და დასასვენებელი დღეების აღნიშვნით. ფასი 30 კ.
2. „ამხანაგი“, მოწაფის კალენდარი, უბის წიგნი და ცნობარი. ფასი 1 მან.

ვინც რედაქციისაგან გამოიწერს 60 კაპ.

3. ტ. ბრიჯჩეს. კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა (ახალი ცნობებისა და გამოკვლევების მიხედვით).

ფასი 30 კაპ. ვინც რედაქციისაგან გამოიწერს 20 კაპ.

მზადდება დასაგეჭდად

„ლენინი სახალხო განათლების შესახებ“.

ყველა ამ წიგნების შეძენა და გამოწერა შეიძლება რედაქციისაგან. ტფილისი, ფურცელაძის (ყოფ. კალოუბნის) ქ. № 3.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატში

მიიღება ხელისმოწერა

განათლების სახალხო კომისარიატის უმუშევლთვისურ პედაგოგიურ

ჟურნალზე

„ახალ სკოლისაკენ“

1928 წლისთვის

გადაგზავნით 3 მან., გადაუგზავნელად 2 მან. 50 კ.

იძვე შეიძლება ჟურნალის წინა წლების კომპლექტების შეძენა

1927 წლის ნომრები ალარ იშოვება

1926 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 3 მან.
1924—25 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 2 მან.

რედაქციის მისამართი

ტფილისი. რუსთაველის პრ. 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „ახალ სკოლისაკენ“.



ქალთა განთავისუფლების საერთაშორისო დღე

პროფესიონალური განათლების რედაქციის მისამართი: ○○○ ფურცელაძის ქუჩა №3. განათლების მუშაკთა ○○○ ცენტრალური სახლი

№ 11 მარტის 1 № 11

5222

ნინო ძიძიგური

ქალთა საერთაშორისო დღე.

მარტის 8 მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეა. მშრომელი ქალი მუშათა კლასის სრულუფლებიანი წევრია. ამიტომ არის, რომ ამ დღეს აღნიშნავენ და დღესასწაულობენ არა მხოლოდ ქალები, არამედ მთლიანად მშრომელი კაცობრიობა.

მთელ რიგ წლების განმავლობაში, ამ დღეს მშრომელი ქალები გამოდიან და თავიანთი რაზმების შემოწმებას ახდენენ.

მას შემდეგ, რაც დედამიწის ზურგზე გაჩნდა მჩაგვრელი და ჩაგრული, ძლიერი და უძლური, ბატონი და ყმა, ქალი ორმაგ მონობას განიცდიდა, უუფლებო სახელმწიფოში, ჩაგრული და ნაწამები იყო ქმრის და მამის ოჯახში. ქალი დიდხანს იყო დარწმუნებული, რომ ის მონად გაჩნდა და მას არ აქვს ნება მოითხოვოს ადამიანური უფლებები. მაგრამ ჩაისახა თუ არა მშრომელთა შეგნებაში ბრძოლის აუცილებლობა, ქალიც ჩადგა მებრძოლთა რიგებში. კაცობრიობას არ ახსოვს მძალადეების წინააღმდეგ მიმართული არც ერთი ბრძოლა, რომელშიაც ქალს თავის სისხლი ბარიკადებზე არ დაენთხიოს.

მას შემდეგ კი, რაც ეკონომიურმა ცხოვრებამ ქალი აიძულა სამუშაოდ ოჯახ-გარედ გამოსულიყო, ის ორგანიზაციულად გადაუკავშირდა მუშათა კლასს და მასთან ერთად ამაგრებდა საერთო საქმეს. მუშათა კლასისთვის არ არსებობდა ცალკე ქალთა საკითხი, როგორც ამას ბურჟუაზია ჩადის „თავის გასართობად და სალაღობოდ“, არამედ ქალის განთავისუფლებას თავის საკუთარ განთავისუფლებას უკავშირებდა და მოწინააღმდეგეს სასტიკად სთხოვდა ქალის პირობების გაუმჯობესებას.

როდესაც 1917 წელს დაირეკა თავისუფლების ზარი და მებრძოლთა ყიჟინამ შეანძრია სამყარო, ქალმაც აიხსნა მძიმე ხუნდები და თანამებრძოლ მამაკაცს გამარჯვების ხელი გაუწოდა.

Библиотека-Музей имени Ани и Гоциашвили

დიდი რევოლუციის გამარჯვებაში ქალთა განთავისუფლება ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მიღწევათაგანია. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ქალის უფლებრივი დაცვა და მრავალი ღონ ძიებებით შეეცადა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. დიდი რევოლუციის ბელადი ამხ. ლენინი გრძნობდა რა ქალის დიდ მნიშვნელობას მშრომელთა საქმეში, ამბობდა რომ ქალთა მასები არ ჩაებმება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, მიღწევებზე ფიქრი ფუჭი იქნებაო. მან მეტიც სთქვა: „ყოველმა მხრუნველმა ქალმა უნდა იცოდეს, როგორც მართოს სახელმწიფო“. ეს იმას ნიშნავს, რომ არ კმარა იურიდიული უფლებები, საჭიროა თვით ქალის შეგნება. და მართლაც, სანამ ქალი თვით არ შესძლებს თავის თავზე ზრუნვას, სანამ ის თითონ არ შეიგნებს თავის უფლებებს და არ გამოიყენებს სწორუფლებიანობას, მანამ კოდექსებით და კანონებით ბრძოლა მხოლოდ პალიატიური და დროებითი ზომებია. ბოლოს და ბოლოს, ქალი უნდა გამოვიდეს მამაკაცის მეურვეობიდან!.. მან უნდა დაუმტკიცოს მთელი ქვეყნის ანტიფემინისტებს და ბურჟუაზიულ სკეპტიკებს, რომ მათი უარყოფითი შეხედულება ქალზე ბნელი გონების და ბატონობის შესანარჩუნებლად მოჩმახული ხრიკების ნაყოფია. **ქალმა უნდა გაამართლოს მუშათა კლასის იმედები** და თუ აქამდე ქალების მცირე ნაწილი ებმებოდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ამიერიდან ქალთა მასები უნდა ამოძრავდენ და თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ეს იქნებოდა ქალთა თანასწორობის უტყუარი გამართლება და მჭერმეტყველური საბუთები ურწმუნოთა წინააღმდეგ.

დღეს, როდესაც ქალი თავისუფალია, **მხოლოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე**, ე. ი. მსოფლიოს 1/6 ნაწილზე, დანარჩენ 5/6 ზე, კვლავ მეფობს სიბნელე, მონობა და მშრომელთა აწიოკება.

მარტის 8, ჩვენმა მშრომელებმა ერთხელ კიდევ უნდა ამტკიცონ თეთრი ტერორის მსხვერპლთ, რომ მათი თანაგრძნობა და მეგობრული ხელი მიმართულია უცხოელ ამხანაგების განთავისუფლებისაკენ.

ჩვენი ქალები დიდი ყურადღებით უნდა ეკიდებოდენ უცხოელი ქალის მდგომარეობას და ცდილობდენ მათი მეშვე სვე-ბედის შემსუბუქებას. უსათუოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა, რემედასის უჯრედების ხელის შეწყობა და ამ ორგანიზაციების საშუალებით უცხოეთთან კავშირის დაჭერა.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენთვის დღიურ წესრიგში უნდა დაისვას, არის ჩვენი ქალის უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცება.

სახელმწიფომ თავის უზენაესი ორგანოების კანონმდებლობით დედის და ბავშის დაცვის ფუნქციები თავის თავზე აიღო. საჭიროა ამ კანონმდებლობის ფართო აგიტაცია, რომ ერთის მხრივ, ეს უფლებები ბოროტად არ იქნას გამოყენებული და მეორე მხრივ, ქალი უკუღმართ ტრადიციების და ცრუ მორცხვობის ზეგავლენით უგუნურების მსხვერპლი არ შეიქნეს.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი კავშირის წევრ-ქალთა დანიშნულება ამ მხრივ, რადგან სოფელში მუშაობის დროს, ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ქალის ჩაგვრის ნებსით და უნებლიე ფაქტებს.

მასწავლებელი ქალი ყოველი ღონით უნდა სცდილობდეს, რომ მშრომელი ქალის კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რადგან ქა-

ლას სწორუფლებიანობა, მხოლოდ მაშინ იქნება რეალური, თუ მის მოხმარას და განაღდებას შესძლებენ მასები და არა გამონაკლისი ერთეულები.

სავალალო მემკვიდრეობამ დაგვიტოვა წვრილ ბურჟუაზიულად და მეშჩანურად განწყობილი ოჯახები. ჩვენ გვიხდება ამ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ბავშვების სწავლა-განათლება. ს ნამ სახელმწიფოს საშუალება არ აქვს მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს საზოგადოებრივი აღზრდა და ჩვენთვის მიუღებელ იდეოლოგიით გაჟღენთილ ოჯახებს გამოკლიოჯოს ახალი თაობა, აუკილებელია ჩვენი ზრუნვა ოჯახის ასამაღლებლად. ოჯახის სისალე სრულიად დამოკიდებულია ქალის კვალიფიკაციაზე. თუ დედა-აღმზრდელი განვითარებულია და მას კარგად აქვს შეთვისებული თავის მოქალაქეობრივი უფლებები, მისი შვილიც ამავე ღირსებებით იქნება დაჯილდოებული მასწავლებელი ქალი ყოველი ღონისძიებით უნდა **დაეხმაროს ქალთა განყოფილებებს**, რომლებიც აკუობენ სალიკვიდაციო სკოლებს, საუბრებს, კუთხეებს, სკოლებს, ბაღებს, ბაგებს, რომ შესაძლებელი გახდეს გლეხი ქალის მასიური მუშაობისკენ მიზიდვა და მისი გონებრივი დონის აწევა.

მასწავლებელი ცოცხალი მაგალითია ხალხისათვის. დღეს, როდესაც ჩვენ ქვეყანას მტრების რკალი გარს არტყია, რომლებიც ბილების ღრჭენით უცქერიან ჩვენ ეკონომიურ-კულტურულ ზრდას და ეძებენ მომენტს ომის ქარცეცხლით წაბუ ონ მუშათა კლასის მონაპოვარი, აუცილებელია ჩვენი სამხედისიც ომის წინააღმდეგ „ვისაც შვიდობიანობა სურს, ის ომისთვის მხად უნდა იყოს“,— ეს ჭეშმარიტი დებულება მაშინ იქნება განაღდებული, თუ ჩვენ შევძლებთ, არა მარტო წარმოებებში მამაკაცების შეკვლას, არამედ სამხედრო საქმის უშუალოდ შესწავლას და სამხედრო ორგანიზაციების (ავიოქიმი) ხელის შეწყობას.

ქალის ამ დარგში გამოსვლა ახალი საქმეა და უეჭველია ის არა თუ სოფელში, ქალაქებშიაც კი ბევრ სკეპტიკოსს მოგვრის ირონიის ღიმს, მაგრამ სწორუფლებიანი ქალისთვის აქ ზებუნებრივი და შეუსრულებელი არაფერია. ქალებს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ თავის ნიჭი და გამჭრიახობა ამ მიმართულებითაც და თუ აქამდე ეს იყო გამონაკლისი, ეხლა იქნება მასიური.

დაბოლოს, მთავარი საკითხთაგანი, ქალის ოჯახის წვრილმან ყოველდღიურობისაგან თავის დაღწევაა, რომ მან მეტი დრო მოახმაროს თავის კვალიფიკაციის აწევას.

მარტის 8, გარდა ზემო დასახულ ლოზუნგებისა, უნდა ღრმად იქნეს წამოყენებული საზოკადოებრივი სასადილოების, სამრეცხაოების, ბაგების, ბაღების და თავშესაფარების გახსნა.

მართალია, მთლიანად ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივ ხელისუფლებას გაუჭირდება, მაგრამ ამ დარგში მცირეოდენი მიღწევაც კი, დიდი მნიშვნელობის იქნება.

ადგილობრივი ხელისუფლება მასწავლებელი ქალის დახმარებით შესძლებს დიდი კვალი დაჩნიოს ქალთა გაუმჯობესების საქმეს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ შეძლებულ სოფელს საშუალება აქვს მოაწყოს კოლექტიური მეურნეობის დაწესებულებანი, მაგრამ მას აკლია ორგანიზატორი, მომწყობი, რჩევის მიმცემი. აქ უნდა იყოს მასწავლებელიც თავის ცოდნით და ხალხისადმი სიყვარულით. შეგნება, რომ კოლექტიურად მეურნეობის მოწყობა უფრო იაფიც

არის და ხელსაყრელიც, უნდა მისცეს სკოლამ და მისმა ხელმძღვანელმა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქალის განთავისუფლებაზე ფიქრი.

მასწავლებელი ქალი, ქალთა შორის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონეა და 8 მარტის დღესასწაულში, მან მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს დასმულ საკითხების მოწესრიგებით.

ის ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ მისი და მშრომელთა საქმე ერთია და ამ უკანასკნელთა კეთილდღეობისათვის მზად არის გაიღოს თავის ცოდნის და გამოცდილების მაქსიმუმი.

გაუმარჯოს მსოფლიო მშრომელთა დღესასწაულს—8 მარტს!

გაუმარჯოს უცხოეთში თეთრი ტერორის ქვეშ მგმინავ—მშრომელებს!

გაუმარჯოს ქალის სწორუფლებიანობას!

„განათლების მუშაკი"

პედაგოგიურ-პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი

გამოცემა სახ. განათლების მუშაკთა კავშირისა

გამოდის თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში.

წლიურად ხელისმომწერთათვის ჟურნალი ღირს

ექვსი მანეთი

რომელიც გადახდილ უნდა იქნეს

ორ-ორ მანეთობით სამჯერ: ოქტომბრის პირველამდე, დეკემბრის პირველამდე, და თებერვლის პირველამდე.

კოლექტიური ხელისმომწერნი კი იხდიან ადგილკომების და პროფორწმუნებულების საშუალებით თვიურად ათ-ათ შაურს.

მისამართი: ტფილისი, ფურცელაძის ქ. № 3

მ. აპლეტინი

ბელგიის სოციალისტურ მასწავლებლობის ჭრილობაზე

(1927 წლის დეკემბრის 26—28).

ბელგიის კლერიკალურმა პრესამ ჯერ კიდევ ნოემბრიდან სასტიკი კამპანია დაიწყო ბელგიის მასწავლებელთა სოციალისტურ კავშირის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევისათვის ბურჟუაზიისა და მის ამყოლ-დამყოლთა არსენალში უხვად მოიპოვება პატენტიანი საშუალებანი:—„ეკუთვნის კომუნისტურ ორგანიზაციას“, „მოსკოვის ფულით სცხოვრობს“, „ასრულებს მოსკოვის დირექტივებს“ და სხვა. ამ საშუალებებით გამოვიდნენ ბელგიელი კლერიკალებიც.

მასწავლებელთა სოციალისტურ კავშირს ბრალი ედებოდა „უდიდეს ცოდვაში“, სახელდობრ იმაში, რომ მან გაბედა და ჩვენი კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან სესხად აიღო 4.000 მანეთი დასასვენებელ სახლების საჭიროებისათვის და აშკარად ლაპარაკობს ამაზეო. მეორე და უფრო მძიმე „ცოდვა“ ბელგიის სოციალისტურ მასწავლებლებისა კლერიკალებმა დაინახეს იმაში, რომ კავშირის აღმასკომმა გაბედა მილოცვა გაეგზავნა სსრკ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ც. კომიტეტისათვის ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის გამო. აი, ეს ბრალდებები წამოაყენეს მასწავლებელთა კავშირის აღმასკომის და განსაკუთრებით კი მისი თავმჯდომარის და მდივნის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად სასტიკი იერიში მიიტანეს განათლების მუშაკთა პარიზის ინტერნაციონალზე, რომლის სექციას წარმოადგენს ბელგიის კავშირი.

ამ კლერიკალურ-ბურჟუაზიულ პრესას, რომლისთვის ყოველგვარი სისაძაგლე ჩვეულებრივი საქმიანობაა, მიემხრო ეგრედ წოდებული „ლიბერალური“ პრესა. ეს უკანასკნელიც ბელგიის სოციალისტურ მასწავლებლობის კავშირის ყველა გამოსვლებში მთავრობის წინააღმდეგ ხედავს მოსკოვის ბოროტ ნებასყოფას, რომელიც მოქმედობს ან უშუალოდ ანდა განათლების მუშაკთა პარიზის ინტერნაციონალის მეშვეობით.

მთელი ამ გამოსვლების მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ სოციალისტურ მასწავლებელთა კონგრესის თვალში ჩირქი მოეცხოთ კავშირის ხელმძღვანელებისათვის, როგორც კომუნისტურ აგენტებისათვის. ასეთ საშუალებებით ამუშავებდენ რა „საზოგადოებრივ აზრს“, კლერიკალებს და ლიბერალებს, რომელთაც არ მოსწონდათ კავშირის ბრძოლა იმპერიალიზმისა, შოვინიზმისა და კერძოდ კლერიკალურ სკოლებისათვის სახაზინო ფონდიდან უხვად გაცემულ სუბსიდიების წინააღმდეგ, სურდათ დაემარცხებიათ კავშირის ხელმძღვანელი შემადგენლობა და უწინარეს ყოვლისა მისი თავმჯდომარე, ამხ. კესტემონი და გენერალური მდივანი, ამხ. პეტერსი.

ამ შეხმატკბილებულ კლერიკალურ-ლიბერალურ გუნდს თავდაპირველად დახურულ კარებში ბანი მისცეს მუშათა პარტიის აღმასკომის ხელმძღვანელებმა, რომელთაც თავისი უკმაყოფილება გამოსთქვეს ოქტომბრის რევოლუციის 10

წლის თავზე საბჭოთა განათლების მუშაკებისადმი მოლოცვის გაგზავნის გამო. დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მუშათა პარტიის აღმასკომის კარებს იქით, ჩვენ არ მოგვეპოვება. ბრიუსელში ხმები დადიოდა, რომ თითქოს ბასწავლებელთა კავშირის ზოგიერთი ხელძღვანელი მიუხვევიათ ამ თათბირზე სათანადო ზეგავლენის მოხდენის მიზნით. როგორც სჩანს, ამ ღონისძიებიდან არაფერი გამოსულა, თუ კი თვით ვანდერველდე იძულებული შეიქმნა გამოცხადებულიყო სოციალისტ-მასწავლებელთა აღმასკომის სხდომაზე, რათა ამ სხდომაზე მაინც თავისი გაეტანა.

„კომუნისტურ ორგანიზაციისადმი მიკუთვნების“ საკითხში (აღმასკომის სხდომაზე განათლების მუშაკთა ინტერნაციონალს) აღმასკომის სხდომაზე დასთმო ვანდერველდემ, დაგვეთანხმა რა იმაში, რომ ეს საკითხი „სინდიკალურია“, მაგრამ სამაგიეროდ იმ მისალმების გამო, რომელიც მასწავლებელთა კავშირის აღმასკომმა გაუგზავნა სსრკ განათლების მუშაკთა კავშირს ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე, ვანდერველდემ მთელი კორიანტელი ააყენა ილაპარაკა რა მეწმენდიკებზე, რომელნიც იტანჯებიან საბჭოთა ციხეებში და სხვა.

მიმართვის გაუქმების ცდა აღმასკომის სხდომაზე უშედეგოთ დამთავრდა. ვანდერველდე წავიდა „დაკმაყოფილებული“ იმით, რომ საკითხი მილოცვისა კვლავ იქნება განხილული ყრილობაზეო.

ამრიგად, მომზადდა კავშირის აღმასკომისა და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარისა და მდივნის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გალაშქრება დაწყებული კლერიკალური ხუცესითა და გათავებული ვანდერველდეთი. ასეთი ერთიანი ფრონტი პროფმოძრაობის ერთერთ რაზმის წინააღმდეგ უფრო ადვილად შეიქმნა ბელგიაში, ვიდრე პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ყრილობის დროც მოვიდა. პრესა აძლიერებს ხმაურობას მასწავლებელთა კავშირის წინააღმდეგ. მეფე ალბერტის ბელგიის უშიშარი „ობივატელიც“ რომ იყოთ, მაშინაც შესაძლებელი იყო მყუდროება დაგკარგვოდათ იმ შიშისაგან, რომელსაც ქმნიდა პრესა „საზოგადოებრივ აზრის“ დასაძუშავებლად. საკმარისი იყო მხოლოდ სათაურებისა და ქვესათაურების გადაკითხვა კავშირისა ან ყრილობის შესახებ, რომ „ბოლშევიკურ ან გაბოლშევიკებულ მასწავლებლობისაგან“ ძვირფას „სამშობლოს“ დასაცავად იარაღისათვის მოგემართნა. აბა წაიკითხეთ: „სოციალიზმი, კომუნიზმი და სახალხო სკოლა“ (გაზეთი „დამოუკიდებლობა“), „წითელი მასწავლებელნი და ლიბერალური პრესა“, „ნამდვილი საშიშროება“, „მასწავლებელნი ანტი-ბელგიელნი“, „კომუნისტი მასწავლებელნი ინსპექტურის ზედამხედველობის გარეშე“ („დამოუკიდებლობა“), „წითელი მასწავლებელნი და სკოლის ნეიტრალიტეტი“ („თავისუფალი ბელგია“), „ნამდვილი საშიშროება“, „კომუნისტების მიღწევანი სახელმწიფო სკოლის მასწავლებელთა შორის“ („თავისუფალი ბელგია“), „სახელმწიფოებრივი აღზრდის საქმე კომუნიზმის განგრძნობითაა დავალებული“ („მე 20-ე საუკუნე“) და სხვა მრავალი.

მუშათა პარტიის ორგანო „ხალხი“ მართალია ასეთ მყვირალა სათაურებს გაურბის, მაგრამ ისიც ცდილობს შიში შეიტანოს ხალხში კომუნისტურ სენის მოახლოებების პროპაგანდით. მხოლოდ კომპარტიის ორგანო «წითელი დროშა». მიუდგომლად აშუქებს კონგრესის მუშაობას და მის ნამდვილ შეფასებას იძლევა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ კლერიკალურ სამზადისს და გამოსვლას კონგრესის წინააღმდეგ, რეფორმისტულ რეზერვებსა, ვანდერველდეს და სენატორ მონტენის მძიმე არტილერიას, რომელნიც სასტიკად ილაშქრებდენ სსრკ წინააღმდეგ და ცდილობდენ სსრკ განათლების მუშაკთათვის გაგზავნილ მისალმების გაუქმებ ს, ყოველივე ამას მოჰყვა სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი, როლის მიღებასაც ლაძობდნენ თავდამსხმელნი.

ყრილობამ სსრკ და კომპარტიის პოლიტიკის განხილვაზე უარი სთქვა 2896 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 447 ხმისა და დაამტკიცა საკავშირო განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისადმი გაგზავნილი მისალმება ოქტომბრის 10 წლის თავის გამო.

ეს გარემოება იყო უდიდესი პროლეტარული პასუხი ყრილობისა ალმასკომის მოწინააღმდეგეებისადმი.

მეორე ბრძოლა, ცხადია, უნდა მომხდარიყო კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს არჩევის გარშემო, განსაკუთრებით კი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის საკითხში. თავმჯდომარისა და მდივნის მოწინააღმდეგენი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ. პრესაში ქვეყნდებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ რას აბობდენ ა ხ. კესტემონი და პეტერსი ჯ რ კიდევ 1923 წელს. ბურჟუაზიული პრესა გაჰკიოდა ,,პატიოსანმა პატრიოტებმა ვის უნდა მიაბარონ აღსაზრდელად თავისი შვილებიო''.

განსაკუთრებით სასტიკად ილაშქრებოდენ თავმჯდომარის, ამხ. კესტემონის წინააღმდეგ. რა ეპიტეტებით არ ამკობდენ მას ალმასკომის ოპოზიციონერები. ამბობდენ, რომ იგი შევიდა ალმასკომში მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაეალოს ალმასკომის საშუალობაო, იხსენიებდენ მას ,,კომუნისტად'', ერთმა ორატორმა მოითხოვა მისგან პასუხი კითხვაზე—კომუნისტია თუ არა იგი. მუშათა პარტიის ალმასკომის ორგანო ,,ხალხი'' („პეპლი") უწოდებდა ამხ. კესტემონს „შეეულებაში მყოფ კომუნისტს", რომელიც ბრძოლას აწარმოებს მუშათა პარტიის წინააღმდეგ. ამხ. კესტემონმა კითხვაზე—კომუნისტია თუ არა იგი—უპასუხა, რომ იგი იყო ბელგიის კომპარტიის წევრი, მაგრამ ამ პარტიიდან გავიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუშათა პარტიამ მერტენსის რეზოლუცია მიიღო (რომლითაც კომუნისტებს აკრძალული აქვთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სამსახური). ამხ. კესტემონმა განაცხადა, რომ იგი გავიდა პარტიიდან, ვინაიდან უფრო სასარგებლოდ მიაჩნია მას პროფმოძრაობის დარგში მუშაობის წარმოება, და თავის პასუხი დაასრულა შემდეგი განცხადებით: „მე შევალ ისევ პარტიაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მერტენსის რეზოლუცია გაუქმებული იქნებაო". ამის შემდეგ ერთი ვიღაც სულელი გამოვ და და „შეეეედრა" კესტემონს—„სინდიკალიზმისადმი საყვარულის" გამო მაინც უარი სთქვით თავმჯდომარის კანდიდატურაზეო.

ყრილობის პასუხი კი ამ გაშმაგებულ კამპანიაზე შემდეგია. ხმების უმრავლესობით 102-წინააღმდეგ 1254 (101 თავი შეიკავა) ამხ. კესტემონი არჩეულ იქნა თავმჯდომარედ. მან იმაზე მეტი ხმები მიიღო, ვინემ წინა წლების არჩევნების დროს. ამხ. პეტერსი 2439 ხმის უმრავლესობით წინააღმ. 799 (221-მა თავი შეიკავა) არჩეულ იქნა გენერალურ მდივნის თანამდებობაზე. საერთოდ მთელი ალმასკომი მთლიანად გადარჩეულია. წინანდელი ორი წევრი შეცვლილია

ახლებით, რომელნიც იზიარებენ ყოფილ აღმასკომის პოლიტიკას. ამრიგად, მიუხედავად ოპოზიციონერების შეხმატკბილებული ბრძოლისა, აღმასკომმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ამით უფრო განამტკიცა თავისი პოზიცია. 1926 წლის 1 ოქტომბრიდან 3457 კაცისაგან შემდგარი კავშირი გაიზარდა 3800-მდე, ხოლო ადგილობრივი ორგანიზაციების რიცხვი 23-დან 26-მდე ავიდა.

ახალი აღმასკომიც წავა მთლიანობის განმტკიცების გზით, იბრძოლებს განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის განსამტკიცებლად და შოვინიზმის წინააღმდეგ სკოლებში. ის განაგრძობს ბრძოლას ბელგიის განათლების მუშაკთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვა. მას აქვს ყრილობის დირექტივა იზრუნოს წევრთა რიცხვობრივ ზრდაზე. ახალგაზრდა პედაგოგების ჩასაბამად კავშირის მუშაობაში, მოწაფეებით უზომო დატვირთვის წინააღმდეგ საბრძოლველად და სხვა.

ყრილობის შემდეგაც არ დასცხრებიან სოციალისტ-მასწავლებელთა კავშირის მტრები. ისინი შეეცდებიან გაანადგურონ აღმასკომის მუშაობა, მოსალოდნელია ადმინისტრატიული რეპრესიებიც, მაგრამ აღმასკომს უნდა სწამდეს, რომ მას ზურგს გაუმაგრებს მასწავლებელთა მასა, რომელიც მძიმე მომენტში მუდამ მასთან იქნება.

მტკივნეული საკითხები

სიღნაღის მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენცია ჩატარდა 18—19 იანვარს. კონფერენციის შესახებ ანგარიშის დაწერა არ შეადგენს ჩემს მიზანს. მე მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია ზოგი რამ აღვნიშნო. კონფერენციის დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმული იყო სიღნაღის მაზრის განათლების განყოფილების ამხ. მენთეშაშვილის მოხსენება. მომხსენებელმა მოხსენების დროს ასე მიმართა კონფერენციას: „ვაი თქვენ დღეს თუ სათანადო სიმაღლეზე არ იდგომებით, როდესაც სარევიზიოთ ჩამოვიელიო“.

ასეთი მუჭარით მიმართვა კონფერენციისადმი ყოვლად მიუღებელია. ეს უნდა იცოდეს ამხ. მენთეშაშვილმა. მას არ უნდა ავიწყდებოდეს მიდგომის საკითხიც. მეორეს მხრივ გასაკვირველია ის გარემოება, რომ ამხ. მენთეშაშვილს აქამდე ვერ გაუთვალისწინებია, რომ „რევიზია“ ისტორიას ჩაბარდა, საჭიროა რჩევა, დარიგება, მეთოდიური საკითხების პრაქტიკულად გაშუქება და საერთოდ ინსტრუქტაჟის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ მხრივ ჯერ კიდევ სიღნაღის მაზრაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მხოლოდ არსებობს სამი საჩვენებელი სკოლა და ისიც ქალაქზე, რომელიც ჯერ კიდევ პრაქტიკულად მასწავლებლობას მეთოდიურ საკითხებში ხელმძღვანელობას ვერ უწევს. ასეთ პირობებში მით უმეტეს „ვაი თქვენ“-ის წამოძახილი და „რევიზიით“ დამუქრება ყოვლად დაუშვებელია.

ყოველივე ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღის მაზრაში განათლების მუშაკთა უფლებრივი დაცვის საკითხი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მოვიჩვენთ ერთ მაგალითს:

ჩქარეული ლადო ქედაში იყო სკოლის დარაჯად. მაგრამ ის ივლისში 1927 წ. დაითხოვეს. დაიწყო საქმის გამოძიება. ბოლოს ქედას აღმასკომი იწერება, რომ უდანაშაულოდ არის მოხსნილიო. (იხ. 16 დეკ. 1927 წლ. № 1588 მომართვა). მიუხედავად ამისა ამხ. ჩქარეული დღესაც უადგილოდ არის. ასეთ უდანაშაულოდ დასჯილ ამხანაგებს სათანადო ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაქციონ ყურადღება და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი კანონიერ უფლებებში აღდგენისათვის.

ნ—ი.

მ. სტეფანოვი

ხელფასის საკითხი სარაიონო კრებებზე

თებერვლის შუა რიცხვებში განათლების მუშაკთა გამგეობის მიერ ტფილისში მოწვეულ იქნა სარაიონო კრებები. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები; განმუშაკთა მომავალი ხელფასი, ½% ანარიცხები უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად და დელეგატების არჩევა განათლების მუშაკთა რესპუბლიკანურ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას ა. წ. 27 თებერვალს.

ხელფასის საკითხმა აღნიშნულ კრებებზე გამოიწვია საკმაოდ ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ც. გამგეობის წარმომადგენლის მოკლე საინფორმაციო მოხსენების შემდეგ ხელფასის შესახებ, კამათში მონაწილე ამხანაგებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ უსამართლოა პირველ საფეხურის სტაჟის მქონე და უსტაჟო მუშაკების ხელფასის გათანასწორებაო. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ 1928 წ. 1-ლ იანვრამდე უსტაჟო მასწავლებლები იღებდენ 42 მან., სტაჟიანი კი 47 მანეთს. 1928 წ. 1-ლ იანვრიდან კი I-ლ საფეხურის მუშაკები მიუხედავად სტაჟისა მიიღებენ 49 მანეთს, თანაამად დეკრეტით გამოქვეყნებულ მინიმუმისა მე-2-ე სარტყლისათვის, რომელსაც მიეკუთვნება ტფილისიც.

მე-II-ე საფეხურის მასწავლებელთა ხელფასის გადიდება 15 მანეთით უსტაჟოებისათვის (უწინ ჰქონდათ 45 მან.) და 10 მანეთით სტაჟიანებისათვის (მოთ. მატებამდე 50 მ.), რაც გამოიწვია ორივე განაკვეთის თანასწორად ამაღლებამ 60 მანეთამდე 1928 წ. 1-ლ იანვრიდან,—კამათში მონაწილე ამხანაგების თვალსაზრისით არ არის სამართლიანი.

თავის აზრის დასაბუთებისათვის ამხანაგები მიუთითებდენ, რომ მოსკოვის გამთანასწორებელი პრინციპი მიღებულია ტფილისისათვის და აი რატომ: უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოსკოვის განმუშაკთა ხელფასი, რომელიც I საფ. მასწავლებელთათვის ღებრის 70 მან. და მე-II საფეხურისათვის 90 მან., შედარებით მეტია ტფილისისაზე (49 მ. I-ს და 60 მ. II ს) და 2) სტაჟი და ცენზი რსფსრ-ში წინასწარ გათვალისწინებულია უკვე არსებულ პერიოდულ მომატებით (5 წლედები. 1928—29 სასწ. წლის დასაწყისში 5 წლიან მომატებას რსფსრ-ში მიიღებენ განმუშაკების 50 პროც.-ტი. და საქართველოში კი 5 წლედების შემოღება განზრახულია მხოლოდ 1928—29 სასწ. წლის დასაწყისიდან.

განათლების მუშაკები ერთსულოვნად აღნიშნავენ განსხვავების პრინციპის მიზანშეწონილებას I და II საფეხურისათვის დაწესებულ ხელფასში, როგორც აუცილებელ ზომას კვალიფიკიურ ძალების მოსაზიდად მე II საფეხურის სკოლებში. არ სთვლიდენ სწორედ მხოლოდ სტაჟის უკურადღებოდ დატოვებას.

ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვანთ დადგენილებას ჩვენი კავშირის ც. კომიტეტის მე-2-ე სატარიფო თათბირისა, რომელიც სწარმოებდა წარსულ წლის ენკენისთვეში.

თათბირის დადგენილების თანახმად აუცილებელია ორი განაკვეთის პრინციპის დაცვა, ხოლოდ იმ ჯგუფისათვის სტაჟის მხრივ, რომელნიც ჯერ კიდევ არ იღებენ პერიოდულ მომატებას (იხ. „Работ. Просвещ.". 1227 ენკენ. გვ. 14).

დიდი კამაოი გამოიწვია წერითი მუშაობის ჯილდოს საკითხმა მე-4-ე ჯგუფში. მომხსენებლები ადგილებიდან აღნიშნავენ I საფ. მე-4-ე ჯგუფში წარმოებულ მაცადინეობის სერიოზულობას და ამიტომ შემოჰქონდათ წინადადება, რომ ხსენებულ ჯგუფში წერითი ეარჯიშობისათვის დაწესებულ იქნეს ისეთივე ჯილდო, როგორიც არის მე II საფეხურის სკოლებშიო.

უმუშევრობის არსებობის გამო, კრებამ ერთხმად გადასწყვიტა $^1/_2\%$ გაეღებია უმუშევართა დამხმარე ფონდის გაძლიერებლად.

თავის საბოლოო სიტყვაში ც. გამგეობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებულ მომატებაზე (49 მ. I-ს. და 60 II-ს), ც გამგეობამ აღმასკომს განუცხადა პრინციპიალური თანხმობა, მაგრამ სატარიფო ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი და ამიტომ სარაიონო კრებებზე აძხანაგების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, შესაძლებელ ცვლილების შეტანის დროს მხედველობაში იქნება მიღებული თუ 1928 წლის 1 იანვრიდან არა, ყოველ შემთხვევაში როგორც შესაძლებელი იქნებაო.

დაუყოვნებლივ
დაარსეთ
„ჟურნალის მეგობართა წრე"

(იხ. „განათ. მუშ". № 6 გვ. 13)

ადგილებიდან

ჭუთაისის მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენცია

გასული წლის დეკემბრის 30-ს ჭუთაისში გაიხსნა განათლების მუშაკთა მე-7 კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 46 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. კონფერენცია მოიწვია განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობამ, დაესწრენ მაზრის ყველა რაიონების დელეგატები და ტფილისიდან კავშირის ცენტ. გამგეობის წარმომადგენელი ამხ. შალვა გეგენავა. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. მოხსენება, სამაზრო კავშირის გამგეობის მუშაობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ, მაზრის განათლების განყოფილების მოხსენება, კავშირის ახალი გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.—ყრილობა გასხნა, განათლების მუშაკთა სახლში, გამგეობის თავმჯდომარემ იონა კობახიძემ დღის 12 საათზე. საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: გეგენავა შალვა, კობახიძე იონა, ბახტაძე სერგო, შანიძე ევ., კვიცარიძე ერ., იმნაძისა ლეო და დევდარიანი გიორგი.—სამდივნოში: ნაცვლიშვილი ლადო, ჩხეიძე დავით და კაჭახიძე აკაკი. საპატიო პრეზიდიუმში: სტალინი, რიკოვი, ტომსკი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ლუნაჩარსკი, ყურულაშვილი, კრუპსკაია, კანდელაკი და ორახელაშვილი მარ. პირველი მოხსენება წაიკითხა ი. კობახიძემ კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ, მეორე—სარევიზიო კომისიის წევრმა ი. გელაზანიამ; მოხსენებათა შემდეგ გაიმართა საუბარი გამგეობის მუშაობის შეფასების გარშემო. ილაპარაკეს ჩხეიძემ (ჩიანელმა), კვიცარიძემ, ნ. გურგენიძემ, ნ. მისაბიშვილმა, ფ. შავკულიძემ და შ. გეგენავამ.

ორატორები შეეხენ კულტურულსა და ეკონომიურ დარგებს და აღნიშნეს ამ ნაწილებში უარყოფითი და დადებითი მხარეები, საზოგადოთ კონფერენციამ გამგეობის მუშაობა იცნო დამაკმაყოფილებელად. კავშირის ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ ილაპარაკა შ. გეგენავამ. იგი თავის მოხსენებაში ხაზგასმით შეეხო საორგანიზაციო დარგში მუშაობას, მასწავლებელთა ხელფასის საკითხს, გ. მუშაკთა უფლებრივ მხარეს, ტეხნიკურ პერსონალთა მდგომარეობას, ჟურნალის საკითხსა და გავრცელების საქმეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხ. გეგენავას მოხსენება შინაარსიანი და საყურადღებო იყო. მოხსენების გარშემო გაიმართა საუბარი; ორატორები შეეხენ ადგილ-კომეჩის შესანახავად თანხის გადადებას განათლების სახლის საბინაო გადასახადისაგან განთავისუფლებას, უმუშევართა დასახმარებლათ მაზრაში 1/2 პროც-იანი ანარიცხების შეჩოლებას, ჟურნალი „განათლების მუშაკი“-ს შინაარსით გაუმჯობესებას და ტირაჟის აწევას, მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის ჩამოყალიბებას, განხრის გაკვეთილ ბისათვის ჯილდოს გადიდებას და წერითი შრომის გასწორებისათვის ხელფასის დაწევას.

კონფერენციამ ც. გ. მოქმედება და მუშაობა იცნო დამაკმაყოფილებლად. მაზრის განათლების განყოფილების მუშაობის ანგარიში წაიკითხა ვ. იმნაძემ. ამ მოხსენების გარშემო ილაპარაკეს დ. მხეიძემ, ნ. მისაბიშვილმა, ევ. შანიძემ,

სიდავამ, კვანტალიანმა და შ. გეგენავამ. მოლაპარაკენი შეეხენ მასწავლებელთა თავის დროზე დანიშვნა—გადაყვანას, მათ პოლიტ-მუშაობას, მოლვაწე და დამსახურებულ მასწავლებელთა ნაყოფიერი მუშაობის დაფასებასა და მათ წაქეზებას, ორჯგუფთან ერთად მეცადინობის ლიკვიდაციას, სკოლების შენობების შეკეთებას, სარაიონო და სათემო კონფერენციების მოწყობას, ინსტრუქტორების ძიერ ხშირად სკოლების დათვალიერებას და სხვა... ძომხსენებელმა უპასუხა ორატორებს და გააცნო კონფერენციას მოშავალი მუშაობის გეგმა. კონფერენციამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შეძლეგ განათლების განყოფილების მუშაობა იცნო დამაკმაყოფილებლათ.

დაბოლოს ძოხდა არჩევნები; კავშირის გამგეობაში აირჩიეს 15 წევრი: კობახიძე ი., ბახტაძე ს., ნინიკაშვილი ი., ნაცვლიშვილი ვლ., მკერვალიშვილის ას. მ., გაბრიაძე ი., თავხელიძე პლ., იმნაიძისა ლეო, დევდარიანი გ., მინდაძე ს., შავგულიძე ფ., კვანტალიანი ს., კვერნაძე რ., გურგენიძე ნ. და რუხაძე მიხეილ. კავშირის თავმჯდომარეთ ახალმა გამგეობამ ამხ. ი. კობახიძის ნაცვლად, რომელიც ამა სასწავლო წლიდან დაინიშნა ქუთაი ის რკინის გზის ცხრაწლედის გამგედ, აარჩია ამხ. სერგო ბახტაძე, მდივნად ი. ნინიკაშვილი, სახლის გამგედ ნიკო გურგენიძე. სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენციაზე დასასწრებლათ არჩეულ იქნენ: მიქაძე არჩილი, ბახტაძე სერგო, შავგულიძე ფილიპე, რუხაძე მიხ., კვიცარიძე ერ., რუხაძე ალ., კისკეიძე და კაკაძე.

ყრილობამ მადლობა გამოუცხადა გამგეობის ყოფ. თავმჯდომარეს ი. კობახიძეს და 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, კონფერენცია დაახურა.

ლადო ბზვანელი.

მე-8-ვე საქალაქო კონფერენცია.

(ქ. ფოთი).

2 დღის მუშაობის შემდეგ (1927 წ. 31 დეკემბერს) დაიხურა განათლების მუშაკთა ფოთის მე-8-ვე საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 46 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, კონფერენციის უმთავრეს დღის წესრიგს შეადგენდა: 1. ცენ. გამგეობის ანგარიში 2. საქალაქო გამგეობის ანგარიში. ცენ. გამგეობის 10 თვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჭეიშვილმა, რომელმაც ვრცლად აღნიშნა ცენ. გამგეობის მიღწევები და ნაკლი ორგანიზაციულ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგში. უმთავრესად შეჩერდა კავშირის ქვედა უჯრედების მუშაობაზე, წევრთა აქტივობის ზრდაზე და უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხზე, მოხსენების შემდეგ ცენ. გამგეობის მუშაობა კონფერენციამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

საქალაქო ადგილკომის მუშაობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. ჯიბლაძემ, რომელმაც აღნიშნა: კავშირი აერთიანებს 218 წევრს, 113 ქალს და 105 კაცს. გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო პროფაქტივის წამოყენებაზე კავშირის წევრთა კულტურულ და პროფცოდნის ამაღლებაზე, ეკონომ-მუშაობაზე, შრომის პირობების დაცვა-გაუმჯობესობაზე, წევრთა უფლებრივ მდგომარეობის დაცვაზე, წევრთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობა-

ზე და პროფ-რწმუნებულთა მუშაობაზეო. კავშირს არ ქონდა საკუთარი კლუბი, ამიტომ მთელი კულტგანმანათლებელი მუშაობა სწარმოებდა საკავშირთაშორისო კლუბში. საკლუბო მუშაობის თვიური ხარჯები 30 მან. გადიდებულ იქნა 50 მანეთამდი. კლუბში ტარდებოდა მოხსენებები, ლექციები და სხვა. ჩატარებულ იქნა 10 მოხსენება სხვადასხვა თემებზე; მოეწყო 21 კონცერტი, აქედან 11 უფასო, კინო-სურათები გაშვებულ იქნა 35 ჯერ—აქედან 5 უფასო. საოჯახო საღამო მოეწყო—3-ჯერ. გასამართლება და დისპუტი 5-ჯერ, კითხვა-პასუხის საღამოები 2 ჯერ, ყველა ამ მუშაობაში ჩაბმული იყო კავშირის წევრები. კლუბის გამგეობაში კავშირის 5 ხევრია, რომლებიც აწარმოებენ კულტურულ და პროფგანმანათლებელ მუშაობას. საზაფხულო პერიოდში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა, საექსკურსიო მუშაობას და საერთოდ საკლუბო მუშაობის სუფთა ჰაერზე გადატანას, წყლის და მზის გამოყენებას, მაგრამ ამ მუშაობას ხელს უშლიდა ის, რომ წევრთა უმრავლესობა გასული იყო ქალაქის გარეთ. სულ დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 12 წევრი, კურორტებზე 5 წევრი, ექსკურსიაზე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში 10 წევრი.

საორგანიზაციო დარგში ყურადღება ექცეოდა გეგმიან მუშაობას, ყოველ კვარტალისათვის მუშავდებოდა ცალცალკე სამოქმედო გეგმები, რომლის გატარებასაც ექცეოდა სათანადო ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის წევრთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობით და უფლებრივ მდგომარეობის დაცვით, არამედ მთელ სასკოლო მუშაობითაც. სკოლების ტეხნიკურ იარაღებით უზრუნველყოფის და მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით მოხდა მთელი სკოლების დათვალიერება. 4 წლედის არც ერთ მასწავლებელს არა ყავს თითო ჯგუფის მეტი, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფის მასწავლებლად ითვლებიან 3-4 წელი, რაც ახლო მომავალში მოსპობილ უნდა იქნეს. მასწავლებელი 1 ჯგუფიდან უკანასკნელ ჯგუფამდე უნდა ხელმძღვანელობდეს თავის ჯგუფსო და სხვა. დღემდის პროფ-რწმუნებულთა მუშაობა სკოლებში ძლიერ მოისუსტებდა. ზოგიერთ პროფრწმუნებულებმა არც იციდა რა უნდა გაეკეთებია—აგროვებდენ საწევრო ანარიცხებს, აცნობებდენ წევრებს ამა თუ იმ კრებაზე დასწრეას. სხვა მხრივ კი თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდენ. მუშაობის გამოკვეთის შემდეგ ყველა პროფ-რწმუნებულებს სათანადო თათბირზე მიეცათ ახსნა განმარტება. პროფ-რწმუნებულთა გადარჩევის კამპანიის დროს უმთავრესი ყურადღება ექცეოდა წევრთა აქტივობის ზრდას და ახალ აქტივის წამოყენებას. 16 გადარჩეულ პროფ რწმუნებულიდან 9 ახლად წამოყენებულია. პროფ რწმუნებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. % ანარიცხები შემოდიოდა და შემოდის სისტემატიურად.

კოოპერაციაში წევრებად ირიცხება წევრთა 75 % ტი. ჩატარებული იქნა ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე, სულ ხელი სესხზე მოაწერა კავშირის 100 წ. 1020 მან. ობლიგაციაზე.

კავშირის უმუშევართა ფონდში კავშირის წევრებს შემოჰქონდათ და შემოაქვთ ½ % ხელფასიდან, სულ ფონდში შემოვიდა 718 მ. 50 კ., რომელიც განაწილებულ იქნა 126 უმუშევარზე. უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განზრახულია მოეწყოს ახლო მომავალში არტელი.

სექტემბრის თვიდან გაძლიერებულ იქნა კავშირის მონაწილეობა საბიუჯეტო საქმიანობაში, რამაც მოგვცა ზოგიერთი მიღწევები. მაგ., დარაჯების ხელფასი 25 მან. გადიდებულ იქნა 30 მანეთამდი.

ქოხ-სამკითხველოს გამგეთა 28—32 მ., მემანქანეთა 35—42 მ., მასთან დარაჯებს ერთდროულად მიეცათ დახმარების სახით 5—5 მანეთი. სკოლების რემონტისა და იარაღების შესაძენად გადადებულ იქნა 6,000 მანეთი.

შრომის დაცვას ექცეოდა სათანადო ყურადღება. შრომის დაცვის კომისიის მიერ რამოდენიმეჯერ იქნა დათვალიერებული სკოლები. შ.-ს კ. მიერ გარჩეულ იქნა 4 კონფლიქტი, გარდა ერთისა ყველა გადაწყვეტილ იქნა მუშა-მოსამსახურის სასარგებლოდ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საერთო კამათი ცენ. და საქალაქო გამგეობის მოხსენების გარშემო. უმთავრესად აღნიშნავდენ კულტ მუშაობის, ეკონომმუშაობის, საზოგადოებრივ მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას; აგრეთვე ეხებოდენ კავშირის ქვედა ორგანიზაციების მუშაობის სისტემატიური გამორკვევის, განათლების მუშაკთა ხელფასის ძომატების, და უმუშევართა საკითხის მოგვარების აუცილებლობას.

საქალაქო გამგეობის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა 9 წევრის და 2 კან. შეძადგენლობით. კონფერენციის მიერ გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად გამოყოფილ იქნა ამხ. **ჯიბლაძე.**

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია იყო უაღრესად საქმიანი. ასეთი საქმიანი კონფერენცია პირველად ჩატარდა ფოთში, რაც ამტკიცებს წევრთა დაინტერესებას საკავშირო მუშაობით.

გ—ლი.

თელავის განათლების მუშაკთა კავშირის წლიური მე-7 კონფერენცია.

იანვრის ბოლო რიცხვებში თელავის პროფკლუბის დარბაზში ჩატარდა განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო წლიური მე 7 კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 39 დელეგატი და მრავალი მასწავლებლობა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გუშინდელი პასიური, მუნჯი და სიცოცხლის უნარ მოკლებული ჩვენი სახალხო მასწავლებლობა, დღეს უკვე ამეტყველდა, ალაპარაკდა, ზოგიერთ შემთხვევაში თავისი აქტიურობით გადააჭარბა კიდეც. ის უკვე ერკვევა ავსა და კარგში, ზედმიწევნით გაიცნო მშრომელი ხალხის მტერი და მოყვარე და, თუ გუშინ—გუშინწინ მოშხაპულ—მობალღმებული იყო არსებულ ხელისუფლების მიმართ და თეთრსაც კი შავათა ხედავდა, ეხლა ეს მდგომარეობა, ეს ატმოსფერა ძირფესვიანად აღმოფხვრილია და მასწავლებლობაც სწორ და ურყევ ლიანდაგზეა შემდგარი.

ამ გარემოებით აიხსნება ის აქტიობა, რასაც საერთოდ იჩენს ჩვენი სახალხო მასწავლებლობა, როგორც კრებებზე, ისე თავის ყოველდღიურ მუშაობა-მოღვაწეობის პროცესში.



თელავის მაზრისგან. განყ. მუშ. კავშ. მე-7 წლიური კონფერენცია.

რუსული ანდაზისა არ იყოს: «семья не без урода»-ო და მართლაც ასეთი მახინჯები, ოჯახის მყუდროების შემბღალავნი ზოგიერთნი კვლავ კიდევ მოიპოვებიან, რომლებიც „თეთრ კბილს და შავ გულს“ გვიჩვენებენ, ფარულად ძველ გზას არა ღალატობენ და შოვინისტური ახრებით, გრძნობებით გატაცებულნი მარჯვნივ თუ მარცხნივ შხამს და ბალღამს ანთხევენ, მაგრამ, არა უშავს რა, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ძათაც ჭკუაზე მოიყვანს თუ არა და თავს დააბრალონ, როცა ცხოვრების გარეშე დარჩებიან. ყოველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ კონფერენციამ უმშვენიერესი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე.

მოხსენებები გულდასმით იქნა მოსმენილი, მისცეს მრავალი შეკითხვები, კამათშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა ამხანაგებმა.

პირველი მოხსენება ცენტრალურ გამგეობის მუშაობის ირგვლივ გააკეთა ამხ. **ჭეიშვილმა,** რომელიც დაწვრილებით შეეხო ყველა იმ მუშაობა-მოქმედებას, რაც უწარმოებია გასული ერთი წლის განმავლობაში ცენტრალურ გამგეობას. აღნიშნა როგორც დადებითი მხარეები, ისე უარყოფითიც, გასამართლებელი საბუთების მოყვანით.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე, მისცეს შეკითხვები და კამათშიაც რამდენიმე ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

მოკამათეები განსაკუთრებით შეეხნენ ცენტრალურ გამგეობის სუსტ მხარეებს: ცოცხალი კავშირი არ ჰქონდა მაზრგანყოფილებებთანო, უმუშევართა მდგომარეობის მოგვარების საკითხს სუსტი ყურადღება ექცეოდაო, „განათლების მუშაკი“ ჟურნალში მეტი ადგილი დაეთმოს მაზრებსაო და სხვა. ამხ. ჭეიშვილი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს.

შემდეგი მოხსენებებით გამოდიან ამხ. ს. ხუცაიძე—სამაზრო განყოფილების მუშაობაზე, ამხ. ქ. კოხტაშვილი—სარევიზიო კომისიის მუშაობაზე. ამხ. გ. მელითაური—განათლების განყოფილების მუშაობაზე, ამხ. ი. დავითიანი—სამანდატო კომისიის მუშაობაზე და სხვა.

როგორც აღვნიშნე, დამსწრე დელეგატებმა ყველა მოხსენების გარჩევაში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა.

განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია ამხ. მელითაურის მოხსენებამ. როგორც ვიცით ამ საბიუჯეტო წელს სოფლის სკოლების დარაჯები მოიხსნა, ჭალაქად კი—შემცირდა, ამ გარემოებამ სკოლებში მთელი არეც დარევა შეიტანა, გამეფდა ანტისანიტარული მდგომარეობა სკოლებში, თანაც მოხსნილ დარაჯების პირობები მეტად ცუდი შეიქმნა. მოკამათეები მოითხოვდენ, რათა აღდგენილი ყოფილიყვნენ დარაჯები თავიანთ თანამდებობაზე.

გარდა ამისა. მწვავედ დაისვა საკითხი წერითი სამუშაოების ჯილდოს მიცემის და ინსტრუქტორის უყოლობის შესახებ.

მოხსენებელმა ყველა მოკამათეებს დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

დასასრულს მიღებულ იქნა რეზოლუციების ტექსტები და მომავალ მუშაობის პრაქტიკული მითითებები.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები სამაზრო გამგეობის, სარევიზიო კომისიის, პროფბიუროს წლიურ კონფერენციის დელეგატებისა და საქართველოს განათლების მუშაკთა კონფერენციაზე გასაგზავნი ამხანაგებისა.

ამგვარად, ორი დღის ნაყოფიერი და ინტენსიური მუშაობის შემდეგ დამთავრდა სამაზრო კონფერენცია, დელეგატები დაბრუნდენ თავთავიანთ ადგილებში ახალი აზრებით და შთაბეჭდილებით აღჭურვილი, რაც უდიდეს სარგებლიანობას მოუტანს განათლების ფრონტის ფრიად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს.

ივ. დავითიანი.

ბოლნისის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მეცხრე კონფერენცია

მიმდინარე წლის 5 იანვარს ქ. ლუქსემბურგში შესდგა ბორჩალოს მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მეცხრე სამაზრო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 50 დელეგატი. კონფერენციის ხსნის გან. მუშ. კავშ. სამ. განყოფილების გამგე ამხ. პანიციდი. შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი 9 კაცის შემადგენლობით, სამდივნო და სამანდატო კომისია სამ-სამი წევრისაგან. კონფერენციამ აირჩია აგრეთვე საპატიო პრეზიდიუმი, სადაც შედიოდენ: ლუნაჩარსკი, ტომსკი, სტალინი, მახარაძე, ორჯონიკიძე, კახიანი, დ. კანდელაკი, მიხა ცხაკაია, ალმალიოღლი, მარიამ ორახელაშვილი.

კონფერენციამ, რეგლამენტთან ერთად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) გან. მუშ. კავშ. სამაზრო გამგეობის მუშაობის ანგარიში.
2) მოხსენება განათლების განყოფილების გამგის და პოლიტგანის.
3) მოხსენება (ინფორმაცია) სტატისტიკ. განყოფილების.
4) მოხსენება ცენტრალური მმართველობის.
5) მოხსენება სასკოლო მუშაობის შესახებ—ამხ. გოგუაძის და
6) თანამოხსენება ამხ. მელიქიძის—მუშაობის გეგმიანობის შესახებ.

სამაზრო გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქრ. პანიციდმ. ის დეტალურად შეეხო გამგეობის მუშაობის სხვადასხვა მხარეებს და დახატა მისი თვალსაჩინო სურათი:

მთელ მაზრაში განათლ. მუშაკთა კავშირში ირიცხება 263 კ. წევრი, რომელთ შორის 25 უმუშევარია. ეროვნების მიხედვით ეს რიცხვი ასე იყოფა: ქართველი—25, თათარი—86, სომეხი—86, რუსი—19, გერმანელი—30, ბერძენი—12, ებრაელი—2, პოლონელი—2, ლათვიელი—1; სქესის მიხედვით: მამაკაცი—177, დედაკაცი—86; ცენზის მიხედვით: უმაღლესი განათლების—13, საშუალო სპეციალური—60, საერთო საშუალო—48, დაბალი—115, შინაური განათლებით—22, წერა-კითხვის უცოდინარი—5; პროფესია: პედაგოგი—168, პარტ. მუშაკი—25, სხვა—70. პარტიულობა: კომუნისტი—34, კომკავშირელი—38, უპარტიო—191. მაზრაში არის შემდეგი დაწესებულებანი: 4-წლედები—70, 7-წლედი—2, 9-წლედი—2, გლეხთა ახალგ. სკოლა—1. პროფ. სკოლა—3. ჭოხსამკითხველო—14. კლუბი—3. სამაზრო კ მიტ. ტი—2. (კომკ. და კ.მპ.) განათლების განყოფილება—1.

მაზრაში არის 4 ადგილკომი. სამაზრო გამგეობას განზრახვა ჰქონია ადგილკომების თემური სისტემა შემოეღო და მათი რიცხვი 12 აეყვანა, მაგრამ ეს ტეხნიკური პირობების გამო ვერ განხორციელდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილკომების სხდომების საერთო რიცხვი არის 34, გარჩეულა 158 საკითხი პროფესიონალურ და საზოგადოებრივი ხასიათის. სამაზრო გამგეობას სხდომა ჰქონია 18-ჯერ, გაურჩევია 180 სხვადასხვა პროფეს. ხასიათის საკითხი. საკითხები უმეტესად პრაქტიკულია: მაგალითად: ჯამაგირის თვის დროზე მიღება, თვითგანვითარების მოგვარება, სოც. დაზღვევა, უერთიერთ დამხმარე სალარო, შრომის დაცვა და სხ.

ქ. ლუქსემბურგში მოწყობილია საერთო საცხოვრებელი ბინა ადგილებიდან ჩამოსულ მასწავლებელთათვის, ბინაში არის საკმაო ლიტერატურაც, უმეტესად პროფ. ხასიათის... მიუხედავად სიძნელებისა, სამაზრო გამგეობა აწარმოებდა ადგილკომებში სხვადასხვა მასიურ-საზოგადოებრივ ხასიათის კამპანიებს, მაგალითად, მონაწილეობა კოოპერაციაში, გლეხკომში და სხ. მონაწილეობა კოოპერაციაში რაიონების მიხედვით ასეთი: სარეხის რაიონი—100%, ბაშკირეტის —80%, შაუმიანი—90%, ლუქსემბურგის—60%. აგრეთვე დიდის წარმატებით ჩატარდა 10%-იანი ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერა. ურთიერთ დამხმარე სალაროებში შედის 184 კ. წევრი ე. ი. 70%. უკანასკნელ ხანებში სდგება უმუშევართა ფონდი, სადაც გადადებულია ½%. ადგილკომებთან არსებობს საკონფლიქტო კომისია.

საანგარიშო წლის სეზონში დასასვენებელ სახლში გაიგზავნა 15 კაცი, კურორტებზე—10.

ხელფასი ყოველთვის თავის დროზე არის და ამ მხრივ არ ჰქონია ადგილი რაიმე ანორმალობას. საანგარიშო პერიოდში გაკეთებულ იქმნა 4 რევიზია. სარევ. კომისიის თავმჯდ. ამხ. ა. ანდრესიანმა გააცნო კონფერენციას კომისიის იქმები, სადაც გამგეობის მუშაობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

ამხ. პანიციდის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ. დასასრულ სამაზრო გამგეობის მუშაობა კონფერენციამ ერთხმად დამაკმაყოფილებლად სცნო.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვაჰიდ ალიევი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სასკოლო საქმეში მაზრის ფარგლებში ბევრ ანორმალობას აქვს ადგილი განსაკუთრებით მტკივნეულია პედ. პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია. მომხსენებლის სიტყვით, მასწავლებლობის 85% უვარგისია და მოუმზადებელი*), განათლების განყოფილება სცდილობს კვალიფიციურ მუშაკების დაყენებას, მაგრამ ეს ვერ განუხორციელებია უსახსრობის მიზეზით, რადგან ასეთი მუშაკები მცირე ხელფასით ვერ მოდიან პროვინციაში. ამიტომ განათლების განყ., პროფ. კავშირთან ერთად განუზრახავს თვითგანვითარების წრეების ჩამოყალიბება, მაგრამ მომხსენებლის სიტყვით, ეს არაა დიდად საიმედო, რადგან საჭირო ხელმძღვანელები არ არის. მაზრაში არის მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი, რომელიც არ არის საკმარისი ისეთი დიდი მაზრისათვის, როგორიც ბორჩალოა. განათლების განყოფილებას

*) არის შემთხვევა, როდესაც მასწავლებლად არის ლიკპუნქტის კურსდამთავრებული.

ჯერ-ჯერობით ვერ დაუძლევია ეს საკითხი—უსახსრობის მიზეზით. სკოლები კიდევ უფრო უხუგეშო მდგომარეობაშია. სკოლების 95% საესებით მოუწყობელია. განათლების განყოფილებას უკანასკნელ ხანს გაუკეთებია 100 მდე პარტა, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს სკოლებს—ოდნავადაც. განათლების განყოფილებას აქვს აგრეთვე სასწავლო ნივთების მაღაზია, საიდანაც ფულით ეძლევა სკოლებს საჭირო ნივთები. სამწუხაროდ, ღარიბი მოწაფეობა აქედან არ სარგებლობს არავითარი შეღავათით, რადგან მომხსენებლის სიტყვით, ეს **მდიდრებში შურს გამოიწვევდა და ისინიც უფასოდ მოითხოვდენო.**

პოლიტ-განათლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მამედოვმა (პოლიტგახის გამგე) მთელ მაზრაში 25 ქოხ-სამკითხველოა, 60 ლიკსკოლა. დაახლოებით 1500 მსმენელით.

საინტერესოა აგრეთვე სტატ. ბიუროს თავმჯდომარის ამხ. პილენკაროვის ინფორმაციული მოხსენება. ბორჩალოს მაზრაში განათლების მდგომარეობის შესახებ ის ასეთ ცნობებს იძლევა: მთელ მაზრაში 1900 წელს იყო მნოლოდ 2 სკოლა. 1912 წელს და შემდეგ სკოლების რიცხვი არის 12, მეწშევიკების დროს ეს რიცხვი ადის 20-მდე.

1927 წლის 15 დეკემბრის აღწერის ცნობებით მთელ მაზრაში ამჟამად ირიცხება 82 სკოლა—5016 მოწაფით. მომხსენებელმა მოიყვანა პროცენტები იმის შესახებ, თუ რომელი ეროვნების მოწაფეობა უფრო ესწრება გაკვეთილებს: თათარი—28,1%, ქართველი: 32,3%, სომეხი—70%, რუსი—52,3%, გერმანელი: 100%, ბერძენი—28%.

განათლ. მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობის სახელით. მოხსენებას აკეთებს ამხ. ჭეიშვილი. კონფერენცია აყენებს მოთხოვნილებას, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ბორჩალოს მაზრას, განსაკუთრებით საკურორტო დახმარების მხრით და სხვა.

სასკოლო მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. გ. გოგუაძე. მისი მოხსენება წარმოადგენდა განმარტებითი საუბარს სახ. განკომ. ძიერ გამოცემულ ახალ პროგრამების დამუშავების შესახებ. კონფერენცია დიდის ინტერესით მოეკიდა ამ საკითხს; მომხსენებელმა მთელ რიგ შეკითხვებს ჯეროვანი პასუხი გასცა და გააცნო კონფერენციას მუშაობის მეთოდიური და პრაქტიკული მხარეები. ასეთივე ინტერესი გამოიწვია ამხ. მელიქიძის მოხსენებამაც—მუშაობის გეგმიანობის შესახებ.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია ახალი გამგეობა 9 კაცის შემადგენლობით.

ნ. კობახიძე.

კინტრიშის თემის მასწავლებელთა კონფერენცია

იანვრის 15 ს. ლელვაში შესდგა კინტრიშის თემის მასწავლებელთა მორიგი რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ:

1. ქაქუთის, 2. აშყვისთავის, 3. წყაეროკას, 4. ალამპარის, 5. ლელვას, 6. ზენითის და 7. მუნაესტატეს სკოლების მასწავლებლები. განსახილველი იყო:

1. მაზრის განათლების ინსპექტორის მოხსენება სხვადასხვა საგნების სწავლების და განახლებულ მეთოდების შესახებ.

2. სამუშაო აგეგმილ მასალის განხილვა-დამტკიცება და მომავალ ტრიმესტრულ მასალის დამუშავება.

3. რაიადგილკომის პ/მ. მდივნის მოხსენება აჭარისტანის განათლების მუშაკთა კავშირის მე-7-დე კონფერენციის შესახებ.

4. მიმდინარე კითხვები.

კონფერენციამ მოისმინა სკოლების ინსპექტორის მოკლე მოხსენება ამა თუ იმ საგნის სწავლების და მეთოდიური მიდგომის შესახებ, რამაც გამოიწვია დამსწრეთა შორის შეკითხვები და ახრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამის შემდეგ კონფერენციამ განიხილა წარმოდგენილი მასალა და საჭიროდ სცნო გეგმიან მუშაობაზე გადასვლის მიზნით ზამთარ-გაზაფხულის ტრიმესტრულ მასალის დასამუშავებლად მუშაობაში ჩააბას მასწავლებელთა მასა. გამოყოფილ იქნა სათანადო კომისია, რომელიც დაამუშავებს საძთვედის მასალას და დასამტკიცებლად წარმოუდგენს მომავალ მორიგ კონფერენციას, რის შემდეგ მოხდება მასალის გატარება სკოლების ცხოვრებაში.

დასასრულ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა აჭარისტანის განათლების მუშაკთა მე-7-ე კონფერენციის საქმიანობის შესახებ, რაიადგილკომის თავმჯდომარემ კ. ჩიხლაძემ, რომელმაც გააცნო კონფერენციას კავშირის საქმიანობა 1927—28 საანგარიშო წლებ. კავშირის გამრეობის მიღწევანის და დეფექტების შესახებ. რადგან აჭარისტანის მასწავლებლები არა სანუგეშო ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან, მასწავლებლებმა დიდის ინტერესით მოისმინეს მოხსენების ის ადგილი, რომელიც ეხებოდა მასწავლებელთა ხელფასის გადიდებას.

მასწავლებლობა გულისცემით მოელის ხელფასის გაუმჯობესების საკითხის საბოლოო გამორკვევას, რადგან ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, როგორც კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრის შესანარჩუნებლად სკოლებში, ისე სწავლა-აღზრდის საქმის გასაჯანსაღებლათაც.

დამსწრეთაგანი

ადგილკომების მუშაობა

ხაჩხერე (შორაპ. მაზრა). საჩხერის უბნის განათლების მუშ. კავშირში შედის 50 წევრი; ადგილკომში ხუთი ამხანაგია, რომლის თავმჯდომარეთაც გამოყოფილია მასწავლებელი ქალი ამხ. ნ. პაპიძე. სულ სამი თვე იქნება, რაც ადგილკომის გადახალისება მოხდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიდაც მუშაობა ხაყოფიერი და თვალსაჩინოა. ადგილკომთან არსებობს კულტკომისია, საკონფლიქტო და შრომის დაცვის კომისია, პედაგოგიური, პოლიტიკური და პროფწრეები. მუშაობა ადგილკომისა გეგმიანია. იმართება სხდომები თავთავის დროზე და სხვადასხვა თემაზე მოხსენებანი.

1927 წლის 19 დეკემბერს მოეწყო საჩხერის უბნ. განათ. მუშ. კონფერენცია, სადაც ამხ. ბარამიძემ (კულტ. კომის. თავ-რე) გააკეთა მოხსენება რელიგიის წარმოშობაზე.

მოხსენება ფრიად საინტერესო, შინაარსიანი და დროული იყო და მოსმენილ იქნა ყურადღებით.

მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამხანაგები ხელს გვიშლიდენ, მაგრამ ვიმედოვნებთ მომავალში ასეთ მოვლენას ადგილი აღარ ექნება.

ვუსურვოთ ადგილკომს ასეთი და სხვა სახის მოხსენებანი ხშირად გაემართოს.

საირხელი.

ხევ-ერკეთი. ხევ-ერკეთის განათლების მუშაკთა კავშირი აერთიანებს 38 წევრს. ადგილკომის ცენტრად არის ხევის თემი. განაპირა სოფლები დაშორებულია ცენტრიდან 10—12 ვერსამდე. ადგილკომის წემადგენლობაში შედიოდა ამხანაგები, რომელთაც ასეთ შორეულ მანძილიდან უწევდათ სიარული და დაკისრებულ მოვალეობის შესრულება. მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, ადგილკომი ცდილობდა კავშირის მუშაობა თავის სიმაღლეზედ დაეყენებია. მართავდა სისტემატიურად ადგილკომის სხდომ ბს, იწვევდა საზოგადო კრებებს და ახსნა განმარტება ეძლეოდა სამაზრო გამგეობის დავალებებს. საზოგადოებრივ მუშაობაში მთელი ასი პროცენტია ჩაბმული ჩვენი კავშირის წევრებისა; ინდუსტრიალიზაციის სესხზე ყველამ მოაწერა ხელი. სოფლის ყოველგვარ წამოწყებაში არ არის არცერთი დარგი, რომ მასში აქტიური მონაწილე ჩვენი კავშირის წევრი არ იყოს.

რაც შეეხება თვითგანვითარების საქმეს, ერთხანს აფერხებდა წესიერ მუშაობას ის, რომ კავშირის ყველა წევრები ვიყრიდით თავს სამეცადინოდ ერთ და იმავე ადგილზედ, რაც ხშირად სისტემატიურად არ იმართებოდა, მაგრამ რაკი ცალკე ჯგუფური მეცადინეობისაკენ მოგვიწოდა სამაზრო გამგეობამ მეცადინობასაც გაუმჯობესება დაეტყო. ცალკე კომისიების მუშაობა, როგორიცაა შ. ს. კ. და შ. დ. კ. ვერ იყო სასურველად წარმოებული, ვინაიდან არ იცოდენ კომისიის წევრებმა მათზედ დაკისრებულ მოვალეობის შესრულების როლი. მაგრამ რაკი ამხანაგ ხარიტონ მამალაძემ მოგვცა სამაზრო გამგეობიდან შესაფერი ახსნა-განმარტება, ვიმედოვნებთ ეს კომისიებიც დარაჯად დადგებიან თავიანთ კავშირის წევრების დასაცავად.

განწყობილება ადგილობრივ ხელისუფლებასა და კავშირის წევრებს შორის სრულიად ნორმალურია.

დასასრულ უნდა ითქვას, სამწუხაროდ, რომ ჟურნალ „განათლების მუშაკის“ გავრცელების საქმე ვერ გვაქვს შესაფერად დაყენებული. სულ რამოდენიმე ამხანაგს აქვს გამოწერილი, მაგრამ ვიმედოვნებთ ახალი ადგილკომი მიიღებს ზომებს მის საზოგადოდ გავრცელების საქმეში.

იაშა კობიძე.

დვაბზუ (ცურია). ახალი სკოლისთვის საჭიროა მომზადებული მასწავლებელი. ამ მიზნის განსახორციელებლად დვაბზუს თემის ადგილკომი ყოველივე ზომებს ხმარობს. მოწყობილი გვაქვს წრეები: პოლიტიკურ-პროფესიონალური და პედაგოგიური. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ, სადაც ესწრება ჩვენი კავშირის წევრების 80 პროც. მიზანი ამ წრისა არის გარკვევა ახალ პედაგოგიურ საკითხებში და უშუალო მუშაობაში ჩაბმა კავშირის წევრებისა ყოველ საზოგადოებრივ საქმეში. სამწუხაროდ, ჩვენ არ მიგვილია ახალი პროგრამები და ამ ტომ იძულებული ვართ ვიხელმძღვანელოთ ძველი პროგრამებით. ამასთანავე კავშირის წევრები ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში, მაგ., სამკითხველოში, საბჭოში, კოოპერატივში, გლეხკომში და სხვ. ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებში მუშაობენ თითქმის ძირითადად ჩვენი კავშირის წევრები. ამასთანავე ადგილკომი დიდ ყურადღებას აქცევს კავშირის წევრთა შორის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას. გამოწერილი გვაქვს 12 ცალი „კომუნისტი“, „ახალი სოფელი“—13 ცალი და აგრეთვე 17 ცალი „განათლების მუშაკი“. თემში არსებობს პიონერთა კოლექტივი, რომელსაც ადგილკომი შესაფერის ხელმძღვანელობას უწევს. თვითგანვითარება-მასწავლებელთა კვალიფიკაციის აწევაა. ამაში თანაბრად უნდა იყონ დაინტერესებული კავშირი და განათლების განყოფილებათა ორგანოები. ორივემ ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ დიად საქმეს.

ივ. გედევანიძე.

ხურები. (გურია). განმუშაკთა კავშირი ამჟამად აერთიანებს 42 წევრს. ამათში 8 კაცი უმუშევარია.

იანვრის 11-ს შესდგა სურების რაიონის განმუშაკთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენებანი: ადკომისა, სარევიზიო კომისიისა, სალაროს გამგეობისა და მისი სარევიზიო კომისიისა;
2. არჩევნები: ადკომისა, სარევიზიო კომისიისა, სალაროს გამგეობისა და მისი სარევიზიო კომისიისა;
3. დელეგატის არჩევა სამაზრო კონფერენციისათვის;
4. უმუშევართა ფონდის დაარსება;
5. კავშირში ახალი წევრების მიღება.

ადკომის თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: საანგარიშო წლის განმავლობაში ადკომს გაუშართავს სულ 17 სხდომა და გაურჩევია სულ 74 საკითხი, საიდანაც სჩანს, რომ ადკომს უწარმოებია ნაყოფიერი მუშაობა. შეძლებისდაგვარად, ადკომი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ორგანიზაციებს. როგორიცაა ა.ლ.კ.კ. და პიონერთა ორგანიზაციები-აქტიურ ხელმძღვანელთა გამოყოფა და, ხან კი, ნივთიერი დახმარებითაც (პიონერთა ორგანიზაციას).

საშუალო მეცადინეობა სწარმოებდა პედაგოგიურ და პოლიტიკურ წრეებში, ხოლო მეტად მოიკლებდა მეცადინეობისა და ხახელმძღვანელოების სიმცირის გამო. ძლიერ მოისურვებდა ხელმძღვანელობა კულტკომისია, ხოლო ადგილზე მყოფი ამხანაგები ჩაბმულნი იყვნენ და არიან ყოველგვარ კულტურულ-საალმშე-

ნებლო საქმიანობაში. რაიონში რამდენიმე უფასო წარმოდგენა იქნა ჩატარებული ოქტომბრის 10 წლის თავისა და 1 მაისის აღსანიშნავად).

ყოველ დღეს ასწყობილის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ განმუშაკები. თითქმის 100%-ით ჩაბმულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში, როგორიცაა: კოოპერაცია, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

ადკომის მუშაობაში იყო, რასაკვირველია, დეფექტებიც, როგორიცაა: სხდომების სიმცირე, რადგანაც გაჭიანურება ანარიცხების აკრეფისა და სხვა, მაგრამ, არსებულ პირობებში, ადკომს მეტის გაკეთების საშუალება არ ჰქონია ადკომის სარევიზიო კომისია დადებითად ახასიათებს ადკომის მიერ წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას.

სალაროს გამგეობის მოხსენება იწვევს ცოტაოდენ კამათს შესახებ იმისა, რომ სალაროში არ სწარმოებდა თანხების ჩქარი ტრიალი, რის გამოც ბევრი გაჭირვებული წევრი დროზე, ან სულ ვერ ღებულობდა დახმარებას სესხით. სალაროს თანხა ტრიალებს 15 წევრის ხელში და დანარჩენები რჩებიანო—იქნა აღნიშნული კამათში. კაჭათისა და ახრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენცია ადგენს: მუხედავად დეფექტებისა და სუსტი მხარეებისა, ადკომის, სარევიზიო კომისიისა და სალაროს გამგეობის მუშაობა არსებულ პირობებში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ კონფერენცია ირჩევს: ადკომს, სარევიზიო კომისიას, დელეგატს საშახრო კონფერენციისათვის, სალაროს გამგეობას და სარევიზიო კომისიას და კულტკომისიას, რის შემდეგაც, მიუთითებს რა გასული წლის დეფექტებზე, მოუწოდებს ახლად არჩეულებს ენერგიულ და გაცხოველებულ მუშაობისაკენ.

კონფერენცია ერთხმად ღებულობს უმუშევართა ფონდის დაარსებას და ამისათვის ყოველ თვიურად 1/2%-ის გადარიცხვას.

სურების განმუშაკთა კავშირის კორესპონდ.
ოვიფანტე რამიშვილი.

საუშრადღეგო დატეგი მარტში

3/III — 10 წლისთავი ბრესტის ზავიდან.

5/III — 50 წლისთავი მას შემდეგ, რაც **ვერა ზასულიჩმა** ესროლა ტრეპოვს.

8/III — ქალთა საერთაშორისო დღე.

10/III — 45 წლისთავი, რაც ტფილისში პირველად გაიყვანეს „კონკა“ (ცხენის რკინის გზა).

14/III — 45 წლისთავი **კ. მარკსის** გარდაცვალებიდან.

20/III — 100 წელი ნორვეგიის განთქმულ მწერლის **ჰენრიკ იბსენის** დაბადებიდან.

მ. ᲮᲠᲘᲡᲢᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲘ

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲦᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘᲗ

ბავშთა ჯანმრთელობის საექიმო გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მოწაფეთა 18093 საერთო რიცხვიდან 1925—26 სასწ. წელს, სისხლ ნაკლებნი აღმოჩნდენ 6082 კ. ე. ი. 31,8 პროც. სუსტჰკრდიანები 2652 ე. ი. 14 პროც.; აქტიურ ტუბერკულიოზით და აშკარად ტუბერკულიოზისადმი განწყობილნი 697 ე. ი 3,6 პროც.; ძარღვებაშლილნი 2621 ე. ი. 14 პროც. სულ ჯანძრთელობით სუსტების და დაავადმყოფებულთა რაოდენობა უდრიდა მოწაფეთა საერთო რიცხვის 64 პროც-ს. 1926—27 სას წ. წელს ეს ციფრები გაიზარდა, ასე რომ გამოკვლეულ 31.303 მოწაფიდან ამ წელში სისხლნაკლებობით დაავადმყოფებული აღმოჩნდა 11.637 ე. ი. 37,2 პროც. (მომატება 5,4 პროც.) სუსტ მკერდიანები 5.877 ე. ი. 19 პროც. (მომატება 5 პროც-ით), ტუბერკულიოზიანები და განწყობილნი სატუბერკულიოზოთ 1429 ე. ი. 4,6 პროც. (მომატება 1 პროც.); ძარღვებაშლილნი 3257 ე. ი. 10 პროც. (შემცირება 4 პროც-ით). სუსტ და ავადმყოფ ბავშთა ჯამი უდრის 70,8 პროც. (მომატება 6,8 პროც.). ციფრები გაცემულია ტფილისის აღმასკომის სტატგანყოფილების მიერ.

ზემოდ მოყვანილი ციფრები თუ ერთის მხრივ აღნიშნავენ საზოგადოებრივ ცხოვრების დამშვიდებას (ნერვიულთა რიცხვის შემცირება), მეორეს მხრივ მიუთითებენ მასზე, რომ ჩვენი ბავშები ზედმეტად დატვირთულნი არიან მუშაობით, რომ სკოლის და ოჯახის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძალიან ცუდია, და დღითი დღე უარესდება.

ეს გასაგებიც არის, მაგრამ ჩვენ ხომ არა ვართ ბრალში? ძველმა რეჟიმმა ჩვენ დაგვიტოვა სკოლების მცირე რიცხვი და ამაზე ნაკლები სპეციალურად მოწყობილი სასკოლო შენობები. ომის პერიოდში სკოლები გაიყვსო კერძო მცხოვრებლებით, რომელთაგან დღესაც არ განთავისუფლებულა შენობები, მიუხედავად მთავრობის განკარგულებებისა.

სწავლა-განათლების მიღების სურვილი რევოლუციის შემდეგ იზრდება სწრაფად და საშაულებანი კი მეტად განსაზღვრულია, ასე რომ ზრდის პროცესში მყოფ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გვიხდება მოწაფეთა რიცხვის გადადება ჯგუფში (40 ან 50 მდე), ვაწესებთ მაცადინეობას ორ სამ მორიგეობათ და საკლასო ოთახებათ ვიყენებთ ვიწრო, ბნელ და ნესტიან ოთახებს. ამას მით უმეტეს აქვს ადგილი. რომ სასკოლო ბინის მოთხოვნილება გაიზარდა: საჭიროა სახელოსნოები, სავარჯიშო დარბაზები, ლაბორატორიები, სასადილო ოთახები, სამზარეულო, პიონერ-ორგანიზაციებისათვის საჭირო ბინა, თვითმართველობის ოთახი და სხვ.

უამისოდ სკოლა აღარ იქნება შრომის სკოლა, საბჭოთა სკოლა და ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ უვარგის შენობებით სარგებლობა, კლასების გადატვირთვა მოწაფეთა ზედმეტ რიცხვით და მეორე სმე-

ნა-რომლის გამო შეუძლებელია ოთახების კარგად დასუფთავება,—ძალიან ვნებს სასკოლო ჰაერის სისუფთავეს. აბა შედით საკლასო ოთახში მაცადინეობის დროს და საკლასო ოთახის სპეციფიური შეხუთული და მძიმე ჰაერი გაგაოცებთ თქვენ.

ეს ძთავარი მიზეზია სისხლნაკლულოვანების და ტუბერკულიოზის გაჩენისათვის. აქ მარხია იმ ფაქტის ძირი, რომ უკანასკნელ დროს სკოლებში მძვინვარებს ესა თუ ის ეპიდემია, რომელიც რამოდენიმე კვირით სწყვეტს სკოლის ნორმალურ სისტემატიურ მაცადინეობას.

მძიმე საკლასო ჰაერით მოწამლული ორგანიზმი დასუსტდა და ვერ ეწინააღმდეგება სენს...

ჩვენი ბავშების ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გვაწევს ჩვენ. მათშია ჩვენი მომავალი. ახალ ცხოვრების შენების მძიმე სამუშაო აწევთ მათ და მათვე უნდა განაგრძონ გიგანტიური ბრძოლა ძველი სამყაროს წინააღმდეგ. გამარჯვების მოსაპოებლად მათ დასჭირდებათ ძალის დიდი მარაგი და ხარის ძარღვები.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათ ჯანმრთელობაზე, რადგან ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულშია.

შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ორია: 1. ახალ სასკოლო შენობების აგება 2. მაცადინეობა ღია ფანჯრებით. საჭიროა რომ სასწრაფოდ გამოყოფილ იქნას საკმაო თანხები ძველი სკოლების კაპიტალურ რემონტისათვის და ახალ სკოლების ასაგებად. მთელი რიგი ჩვენი სკოლებისა მოთავსებულია ყოვლად მიუღებელ შენობებში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველაზედ დიდს და ყველაზე უფრო შესაფერისად მოწყობილ სკოლებშიაც კი მოწაფეები არამც თუ ჰყვავიან, არამედ ჭკნებიან. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს დიდ ქალაქებში, სადაც ცენტრალური ნაწილები მჭიდროდ დასახლებულია და სახლებიც მჭიდროდ არის ნაშენები. ასეთ პირობებში ბავშები პირველ თავიდანვე ავად ყოფობენ, იჩენენ სისხლნაკლულოვანებას და სუსტდებიან. ნორმაზე მეტად გადატვირთულ კლასებში ყოფნას მძიმე შედეგები მოჰყვება სუსტ ბავშებისათვის, რადგან არა ჯანმრთელობის პირველი სუსტი ნაშნები ხშირად იღებენ მძიმე ფორმებს. სუსტ და სისხლნაკლებ ბავშთაგან სწრაფად დგება სწავლაში ჩამორჩენილ მოწაფეთა კონტინგენტი, რომლებიც აფერხებენ საქმის საერთო მსვლელობას („ჰიგიენა სკოლაში“ ექ. ვასილევსკი).

ცხადია, რომ საჭიროა რაღაც სხვა, უფრო ნამდვილი ზომები. დასავლეთი ევროპა და ამერიკა ჩვენზე მდიდარია და ამიტომ მათ ჩვენზე მეტი აქვთ დიდი და მშვენივრად მოწყობილი სასკოლო შენობები. მაგრამ ბავშის ჯანმრთელობის მხრივ იქაც მეორდება ის სურათი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში. თუ ეს ასეთ კარგად მოწყობილ სკოლებში, მით უარესი მდგომარეობაა სახალხო მასიურ სკოლაში, რომელსაც არ მოეპოვება მთლად შესაფერისი შენობები და კლასებიც ზედმეტად დატვირთულია მოწაფეებით. ამიტომ მუშათა სკოლების პედაგოგებს მოუხდათ სერიოზულად დაფიქრება ბავშებისათვის ჰიგიენურ პირობების შესაქმნელად სკოლაში.

დასავლეთში შემდეგი გამოსავალი ჰპოვეს ტუბერკულიოზთან და საერთოდ სუსტ ბავშების გამოსაჯანმრთელებლად:

საჭიროა და შესაძლებელია, რომ მთელი წლის განმავლობაში მაცადინეობა სწარმოებდეს სუფთა ჰაერზე, საკლასო ოთახებში ღია ფანჯრებით. ჯერ მოაწყვეს ე. წ. ტყის სკოლები. ამ სკოლებს მართავდენ ქალაქ გარედ, ტყეში და ბავშვები მთელ წელიწადს მაცადინეობდენ ფიჭვის ძირში თოვლზე, რასაკვირველია თბილად ჩაცმულ-დახურულნი.

ეს სკოლები მისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიისათვის და სუფთა ჰაერის მოთხოვნილება კი საერთო იყო.

დაიბადა აზრი ქალაქში მაცადინეობისა ღია ფანჯრებით. ცალკე სკოლების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და ძალიანაც რგებს ბავშვების ჯანმრთელობას. ეს აზრი თანდათან ვრცელდებოდა და ეხლა მუშათა სკოლების უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში მუშაობს ერთი მხრივ ღია ფანჯრებით. ამის საშუალებლობა და აუცილებლობა დადასტურებულ იქნა ექიმების და პედაგოგთა საერთაშორისო კრილობის მიერ 1922 და 1924 წ. („სკოლის ჰიგიენა". ექ. ვასილევსკი). შედეგები ხელთ არის... რამოდენიმე ხნის უკან მოსკოვიდან ინგლისში გაგზავნეს რუს ბავშვებს და შვილები. გამგზავრებამდე ისინი დაავადმყოფებული იყვნენ ტუბერკულიოზის ნაშნებით და ყოველდღე ჰქონდათ სიცხე... და აი, **ბურუსიან და ნესტიან** ლონდონში ბავშვები გამოჯანმთელდენ, რადგან **მთელ წელიწადს მუშაობდენ ღია ფანჯრებით. ასეთი შედეგი იქნა მიღებული ყველაზე ღარიბ სკოლაში,** რომელიც მოთავსებულია **რამოდენიმე ქოხში**, ეს სკოლა იმდენად ღარიბია, რომ მას არ მოეპოვება არც ერთი თავისუფალი ოთახი სასადილოსათვის, რის გამოც საუზმე მოწაფეთათვის ეწყობა ერთ ერთ კლასში („На путях к новой школы" № 9).

ტფილისის და ამიერ კავკასიის პირობებში ღია ფანჯრებით სკოლის მოწყობის საქმე არ მოითხოვს დიდ სამუალებებს. ამასთან აქ ძიტად ხელსაყრელი ჰავაა. ჩვენ სულ ორი-სამი თვე გვიხდება სიცივების გადატანა. ამ ორ-სამ თვესაც არსებული სიცივები არც ისე საშინელია: 5—10° ყინვები ისეთი იშვიათი და შეუჩნეველი მოვლენაა, რომ სერიოზულად ლაპარაკი ზამთრის შესახებ შეუძლებელიცაა. დასავლეთ ევროპაში ამ გვარ სკოლების რეალიზაციას ახდენენ 18° ყინვის პირობებში. ომამდე ის ტარდებოდა ლენინგრადის ერთ-ერთ კერძო სკოლაში, სადაც ზამთრის საშვალო t° გაცილებით მეტია საქართველოისაზე.

საქართველოში ამ ზომის განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ ექიმების, პედაგოგთა და მშობელთა კეთილი ნება. საჭიროა ოთხის კარგად გათბობა, ეს კი ჩვენთვის ადვილად შესაძლებელია, რადგან შეშა ბლომად მოგვეპოვება. ბავშვებისათვის საჭიროა თბილი და მოხერხებული ტანსაცმელი. ყველაზე კარგია შალის ხალათები. მაგრამ თბილი ტანისამოსი მაინც ხომ სჭირია მოწაფეს? კითხვა მდგომარეობს იმაში რომ ის შეგუებულ იქნ ს სასკოლო მუშაობისადმი. აუცილებელია პედაგოგების, მშობლების და ექიმების შეგნებული მოპყრობა საქმისადმი. ამის დაძლევა კი ყველაზე მძიმეა. ბავშობიდანვე შეჩვეული თბილად ჩაცმას და მუდამ განის ქარის შიშის ქვეშ მყოფნი უფროსები ეჰვით უცქერიან ამ მშვენიერ იდეას.

ვფიქრობ რომ ევროპის სკოლების გამოცდილება ბევრს დააჯერებს და აიძულებს გამოსცადოს წარმოდგენილი ზომა.

ამ საქმეს უნდა დაეხმარონ ქალაქის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დავიწყოთ მცირედიდან. ყოველმა სკოლამ გამოჰყოს ერთი ორი ჯგუფი, რომელთა დედა-მამები თანახმა იქნებიან სათანადოთ ჩააცვან ბავშვებს. მიუმატონ ამ ჯგუფებს ავადმყოფი ბავშვები და თუ ეს უკანასკნელი ღარიბები არიან, სკოლის მშობელთა წრემ უყიდოს მათ შესაფერი ტანთსაცმელი. სკოლის ექიმებმაც სისტემატიურად ადევნონ თვალი ასეთ პირობებში მოხუშავე ბავშვების ჯანსაღობას. ეჭვი არ გვეპარება რომ განმაცვიფრებელი შედეგები ყველა ურწმუნოს დააჯერებს ამ ზომის სიკარგეში.

სუფთა ჰაერი თავდებია ჯანმრთელობის, ენერგიის, წარმატებით მაცადინეობის და დისციპლინა ქმნილ მუშაობის.

სუფთა ჰაერზე!

ჯანსაღ ფილტვებისათვის, წითელ ლოყებისათვის და საბჭოთა სკოლის გაორკეცებულ შრომის უნარიანობისათვის.

ნიკო ნინუა

ოქრიოდე სიტყვა საზოგადოებათ მეცნიერების შესახებ

სადისკუსიო (გაგრძელება)*)

მას შემდეგ, რაც გავარჩიე მოქ. ყიფშიძის წერილის დასასრული, მსურდა მომეცა წერილის დადებითი ნაწილი და სრულიად არ შევხებოდი საკითხის გარშემო არსებულ თანამედროვე ლიტერატურას მაგრამ „განათლების მუშაკის" №-6 №-ში, დაიბეჭდა ზემო აღნიშნულ ავტორის წერილი, რომელიც გარჩეულ წერილთა გაგრძელებათ უნდა ჩაითვალოს. მოქ. ყიფშიძის ახალი წერილის მიზანია, საზოგადოებათმეცნიერების გაგების საქმეში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გადმოცემა. ხოლო ეს აზრები იმდენად შეუგუებელია ერთურთისადმი და ყველა ერთად ყალბ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ საფუძველზე მდგომი, რომ, საკუთარ აზრის დასაცავად, მომიხდება მათი უკვე ორიგინალობის გარჩევა. მხოლოდ მოკლედ ისევ მოქ. ყიფშიძის წერილის შესახებ.

„ცნება „საზოგადოებათმეცნიერებისას" ჩვენ მივიღეთ, რომ ეს ახალი სასკოლო საგანი თავისებურად არის დალაგებული, რათა მოწაფეებს მეცნიერული ძარქსისტული სოფლხედველობა შეუმუშავდეს. მაგრამ რომელია ის მასალა, რომელზედაც შეიძლება აიგოს ეს სოფლხელველობა? უკეთ-ეს მასალა ისტორიიდან უნდა ამოვიღოთ, თუ თანადროულობიდან? ცხადია, გამოსაყალი წერტილი ახალში (თანადროულობაში) უნდა იყოს. მდგომარეობის გამართლება, როგორც პედაგოგიურად, ისე პედოლოგიურადაც შეიძლება. ნაცნობიდან დაწყება. მოქალაქე უპირველეს ყოვლისა უნდა იცნობდეს, რაც მის გარშემოა". აი აზრი, რომლის გარშემო ტრიალებს მოქ. ყიფშიძის მთელი წერილი. მიუხედავად აღნიშნულ წერილში გაძოთქმულ დიდი იმედებისა, რომ თანადროულობის საკითხში შესაძლებელია ბურჟუაზიული პედაგოგებიც კი დაგვეთანხმონ, მე მაინც მგონია, რომ შეცდომა სწორედ ამ საკითხშია და ამ პრინციპა არ მოეპოება არც „პედაგო-

*) იხ. „განათლების მუშაკი" № 8.

გიური“ და არც „პედოლოგიური“ გამართლება. და აგრეთვე მუშაობის ამ წესს, მარქსისტულ სოფლმხედველობის შექმნის შესაძლოება არ გააჩნია. მიზნები, რომლებიც ჩემ წარსულ წერილში დავუსახე ჩვენ სკოლას და ჯერჯერობით საზოგადოებათმეცნიერებას, დაახლოებით ამხელენ აზრის მომავალ მსვლელობას.

მარქსისტული თვალთახედვა მოითხოვს ისტორიულ მოვლენათა დროულობის გაგებას, ისტორიულ ფაქტთა არაშემთხვევითობის დადასტურებას, ისტორიაში მტკიცე კანონზომიერების არსებობის შეგნებას და სხვა. მოგვცემს თუ არა ყოველივე ამას თუგინდ ძლიერ ფართოდ გაგებული თანადროულობა? რაგინდ ფართოდ არ გავიგოთ თანადროულობა, თუგინდ კიდეც გადავაჭარბოთ, ის კაპიტალისტურ ხანას მაინც ვერ გადასცილდებოდა. სოფლხედველობის საკითხს, რომ წუთით თავი გავანებოთ, შეიძლება აგრეთვე ტექნიკურ და პედაგოგიურ დაბრკოლებათა აღნიშვნა; სახელდობრ, კურსის დაწყების საქმეში თუგინდ კაპიტალისტურ მეურნეობის განთიადიდან. კაპიტალისტური მეურნეობა ხომ ფეოდალური წყობილების ნანგრევებზე შენდება. საკითხის გენეტიურად განხილვის დროს, ფეოდალურ წყობილების დასასრულის განხილვაც აუცილებელია. უკეთასკნელი კი ფეოდალიზმის მთლიანად განხილვას აუცილებელ ხდის და გაკვრით რომ აღვნიშნოთ არა ერთ ან ორ ქვეყანაში, არამედ ჯერ ევროპიულ ქვეყნებში და მერე სხვაგან შედარებითი მეთოდით. ეს აუცილებელობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბავშს, რთულ ისტორიულ მოვლენებზე, ტიპი ძლიერ გვიან უმუშავდება და, თუგინდ, შრომის სკოლის მერვე ჯგუფის მოწაფეც კი განხილულ საკითხს აღნიშნულ სივრცეს აღარ აცილებს. როგორც ვხედავთ, ეს გზა ისტორიის კურს ჩვენ სკოლაში ძლიერ აღრმავებს და აფართოებს. მაგრამ დაეუშვათ კაპიტალიზმით დაწყება. შეესძლებთ კი მარქსისტულ სოფლმხედველობის წვდომას ამ მასალაზე? არა და არა. ერთ ხანაში კვლევა ანალოგიური გზით მიდის და მიზეზების დაჭერა შეუძლებელია. ისტორიულ პერიოდის წარმოშობის შესახებ ამ სიბრტყეზე საკითხი ადგილს ვერ პოებს. გენეტიური მიდგომა და თანადროულობა წინააღმდეგობაში მყოფი ცნებებია. რა უნდა პოოს აქ ისტორიულ მატერიალიზმის თვალსაზრისმა. რათქმა უნდა არაფერი. ერთ ხანაში არ არის მოცემული მისი დროულობა განვითარებაზე აგებული. ხანას ახასიათებს იმანენტური განვითარება, რომელიც მის დროულობას ძლიერ ნაკლებ ამხელს. ეს მხოლება მხოლოდ შეიარაღებულ გონებით დაიჭირება. ეს იარაღი წარსულში (ისტორიაში) აღმოჩენილი კანონზომიერებაა. კაპიტალისტურ მეურნეობაში ვნახავთ მარქსის მიერ უკვე ნათლად აღნიშნულ წინააღმდეგობათა მთელ მწკრივს, რომელიც სახლის ცვლაზე ეყრდნობა. წინააღმდეგობათა პრინციპი სწორედ აქ არის, მაგრამ აკმაყოფილებს ეს მარქსისტულ სოფლხედველობას? უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტი, მხოლოდ ამ საფუძველზე დაყრდნობილი, ნაკლები მარქსისტი იქნებოდა. ნაკლები იმდენად, რამდენადაც ისტორიის დინამიური სახე მისთვის უცნობი დარჩებოდა. პირიქით, ისტორიის ღრმა ცოდნამ და წარსულში ძიებათა წარმოებამ, მოგვცა კაპიტალიზმის ანალიზის საშუალება. კაცობრიობას გავლილი აქვს ძლიერ ცოტა საფეხურები, რომელთაგან თითქის ყველა საჭიროა, ვინაიდან შემთხვევითი ბუნების არც ერთი არ ყოფილა.

ფეოდალურ მეურნეობის ნგრევის განხილვაში მოცემულია, თუ როგორ შეექმნა ამ წყობილებამ ხალხთა ყოფნის საწინააღმდეგო სახე. აქ კი დიალექტიკის

პრინციპიც განაღდდება. კანონზომიერების საწვდომად ჯერ, ვიდრე სოციალისტური წყობილება ფაქტად არ ქცეულა, სხვა მასალა ჩვენ არ მოგვეპოება. საყვედური უფრო შეიცირდებოდა აქ შეჩერება რომ შემეძლოს. ყოველგვარ სოფლხედველობას, რომ თავი გავანებოთ, არსებობს სხვა მოსაზრებაც, მოსაზრება პირდაპირ აზრის ბუნებიდან გაძომდინარე. აზრი, კაცობრიობის აზროვნების განთიადიდან დასაბამს ეძიებს. პირველ საწყისი ანუ ის, როველსაც საწყისი არა აქვს. აი ამ გზას დაადგა, თუ გნებავთ ანტიფილოსოფია. ინდივიდუალური აზრის ევოლუციაც, როგორც დაკვირვებები გვიჩვენებენ, ამავე გზით მიემართება (თითქმის).

მასწავლებელი, აღშფრდელად მოწოდებული, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ გაექცევა. ვიდრე პირველყოფილობას არ განვიხილავთ, მოწაფისათვის ამოცანა საურკვეველი რჩება და მაშასადამე, უნდა აღვნიშნოთ—პოკროვსკის აზრის წინააღმდეგ,—რომ პირველყოფილობის განხილვას, როგორც მეთოდიური აგრეთვე მეთოდოლოგიურ ღირებულება გააჩნია. და ასე ფეოდალიზმს მივყავართ მის წარმოშობისაკენ და უკანასკნელი კი აუცილებელ ხდის ბარბაროსულ სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორიას. მე დავუშვი ის, რაც აუცილებელი ხდება ზემო გამოთქმულ მოსაზრებათაგან და ხლოდვიგის, თეოდორიხის მონარქიათა და ანგლოსაქსების ბრიტანეთში განმტკიცებამდი მშვიდობით ვიმგზავრე. ყველა ამის დაწვრილებითი განხილვა მარქსისტულ სოფლხედველობისათვის მეტის-მეტად ხელსაყრელი იქნება. აქ დავინახავთ და დავინახავთ უფრაადვილად, **ვიდრე რთულ თანადროულობის ხლართებში,** თუ რაში მდგომარეობს ისტორიულ დინამიკის ამოცანა და რა არის საფუძველი და ზედნაშენი. თანამედროვე რთულ უფლებრივ ეკონომიურ დამოკიდებულებას მიზეზობრივ რკალში მოქცევის გარეშე ჩვენ ვერ ვწვდებით. საკითხის წარმოშობაში შესწავლა—აი პრინციპი, რომელსაც სწავლება ვერ გადაუხვევს.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მაოლოდ ერთი მოსაზრება შეიძლება გამოდგეს და ეს არის ჩვი მორიგი საკითხი. თანადროულობა, რაგინდ რთული არ ყოს, მაინც გვერდში მდგომია; რაც კი სირთულეს შეეხება ის მასწავლებელს გულისხმობს. ე. ი. მასწავლებელი სწორეთ ამისთვის მოწოდებულია—და ეს იქნება ეგრედ წოდებული „ნაცობიდან დაწყება". მე აღვნიშნე სწორედ ამ „პედაგოგური" და „პედოლოგიური" მოსაზრებათა სიცალბე და რადგან საქართველოს და რუსეთის დიდი ავტორიტეტები აქ არ დაობენ და ამ ამბავს ჭეშმარიტებად ნათლავენ, საჭიროა მისი საფუძვლიანი გარჩევა. სწავლის საკითხი ეს ინტერესის საკითხია. ის მარტო ნაცნობზე დამოკიდებული სრულიადაც არ არის. ერთია ნაცნობი და მეორეა საინტერესო. (პირველი საფეხურის სკოლა მხედველობაში არა მაქვს), ის, რაც ჩვეულებრივის უკავშირდება ნაკლებ საინტერესოა. სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნაცნობთან, ჩვეულებრივთან დაკავშირებული დიდ მოწყენილობას იწვევს ბავშვებში.

გაკვირვების მომენტი სწავლების პროცესში უეჭველად ნაყოფიერია, ის იწვევს მოძრაობას (установка), რაც ცოდნის ძიღების შესაძლებელ პირობათაგან საუკეთესოა პრაქტიკაზე ჩემმა საკ თარმა ცდებმა მე იგივე მიჩვენა. აქ კიდევ შეგვიძლია ვპოოთ ანალოგია კაცობრიობის აზროვნების ევოლუციასა და ინდივიდის ფსიქიურ ძალთა განვითარების შორის. თუ ანტიური აზროვნება

უნივერსალურ გაკვირვებით იწყება, ახალ ხანაში დიკარტე უნივერსალურ შეეჭვებით იწყებს. ბავშის ფსიქიურ ევოლუციის გასწვრივაც მოიძებნება ასეთი შეეჭვების ხანა, ეს არის ის პერიოდი, როდესაც ადამიანი დაგროვილ ცოდნის საფუძველზე აწმყოს ხელახალ რევიზიას კიდებს ხელს. გაკვირვებით იწყებს, რაც სწავლების პროცესში შეძლებისამებრ არ უნდა დუნდებოდეს. მაგრამ უეჭველად საკითხავია, თუ რა შეადგენს მოწაფის ინტერესს ანუ რა არის მოწაფისათვის საინტერესო. ინდივიდუალ განსხვავებას რომ თავი გავანებოთ, საკითხი ჰასაკთა ფსიქოლოგიას შეეხება. მოკლედ პასუხი შემდეგი იქნება: საინტერესო არის ის, რაც მოწაფის (ჰასაკის) ცნობიერების ჰორიზონტში კი შედის, ხოლო მან არ იცის, ანუ უკეთ, მას ვერ გაურკვევია. ეს უეჭველად არაჩვეულებრივი ანუ უცხო იქნება. ამიტომ არა პედაგოგიური მასალის ჩვეულებრივთან დაკავშირება უფრო იქნ ბა. (აღნიშნული უცნობიდან და რთულიდან დაწყებას სრულიად არ ნიშნავს). მაგ. საწარმოო იარაღების ევოლუცია ორნაირად შეიძლება გაშუქდეს 1. თანამედროვე გლეხის ან საფაბრიკო იარაღების დათვალიერებით და 2. პრიმიტიულ, პირველ-ყოფილ იარაღთა სურათების დათვალიერებით. საჭიროა ანკეტა ამ საკითხის ფართოდ გადასაწყვეტად, ხოლო ჩემთვის კი გარკვეული მ ქვს, თუ რა უინტერესობას ბადებს ბავშებში გლეხის იარაღთა და კარძიდამოში ტრიალი. გარდა აღნიშნულისა ეს სრულიად ზედმეტი მანიპულაცია ავრეთვე ბევრ დროს და სკოლის რეჟიმის შელახვას მოითხოვს. აი ნიმუშად თუნდაც კუდრიავცევის მეთოდიური მითითება, კაპიტალისტურ მეურნეობის დაწოლით, წვრილ საწარმოო ერთეულთა რეორგანიზაციის და წინა კაპიტალისტურ წარმოების საწვდომად; „წადით ყაფანზე (рынок), მოძებნეთ წინდის მქსოველი და ის მოგცემთ მთელ რიგ ძვირფას მითითებათა, თუ როგორ იწყება ამ დაგვარი წამოწყებანი, რომელიც ეგრე ჩვეულებრივია კაპიტალიზმის წინა ხანისთვის“ *).

რაოდენ მიზანშეწონილია ასეთი ხერხი სხვა დარგში არ ვიცი, ხოლო მისი ღირებულება ყოველ შემთხვევაში მეორე საფეხურზე მხოლოდ უარყოფითია ამავე საკითხზე ასეთ ექსკურსიათა გ რეშე დამიწერა მერვე ჯგუფმა მოხსენება („წარმოება წინა კაპიტალისტურ ხანაში“). და თვითვე საუბრის პროცესში ასახელებდენ კაპიტალიზმის წინა ხანის საწარმოო ერთეულთა ნაშთებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებას დიდი ინტერესი და სიამოვნება შეეძინდა მუშაობაში. ეს არის, თუ გნებავთ, მოწაფის მიერ მიღწეული პატარა აღმოჩენა, რომელიც საუკეთესო საშუალებაა მოწაფის აქტიობის და თვითმოქმედების წასაქეზებლად. იმ აქტიობის და თვითმოქმედების, რომლის შესახებ ჩვენი სკოლა ასე ბევრს ცდილობს, მაგრამ სასურველ შედეგისათვის ჯერ ეერ მიგვიღწევივა.

(გაგრძელება იქნება).

---

*) Кудрявцев. Очередные вопросы методики обществоведения. ჩემი თარგმნილი.

გ. ს.

მოწაფეთა თვითმართველობა სპეც-ტექნიკუმებში *)

როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკუმში არსდება სამი სექცია: **სასწავლო-წარმოებითი სექცია** მონაწილეობას იღებს პროგრამების და გეგმების დაძუშავებაში. ხრუნავს სახელოსნოებში და კაბინეტ-ლაბარატორიებში შესაფერ მუშაობის დაყენების და საჭირო სასწავლო საგნების შესაძენად. აგვარებს მუშაობის აღრიცხვას, მოწაფეთა განაწილებას ცხებებში და ზომებს იღებს ნამუშევარის დაცვისა და მოწაფეთა კვალიფიკაციის ასაწევად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს წარმოებითი სწავლების და საგნობრივ მეთოდიურ საკითხების განხილვაში. ატარებს სათანადო ღონისძიებებს მონაცემების დამუშავებაში და ზოგადი განათლების წარმოებითი მუშაობასთან დასაკავშირებლად. მოწაფეთა მასას აცნობს სასწავლო-წარმოებითი მუშაობის საქმის მდგომარეობას, ეხმარება აკადემიურად ჩამორჩენილ მოწაფეებს და ისწრაფვის მოსახლეობაში ტიხნიკური ცოდნის გავრცელებლად.

სამეურნეო-ადმინისტრატიული სექცია ზრუნავს მოწაფეთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სკოლის ქონების მოვლა პატრონობისათვის, რომ ყოველგვარი ინვენტარი და კლასები, სახელოსნოები და კაბინეტ-ლაბორატორიები ინახ ბოდეს სუფთად, არ იკარგ ბოდეს და მათი სარგებლობა მიზანშეწონილად სწარმოებდეს. სექცია მონაწილეობს მოწაფეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და სკოლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიღებულ დახმარებათა და ნივთების განაწილებაში. ცდილობს საერთო საცხოვრებლის და სასკოლო კოოპერატივის მოწყობა— დარსებას. ამყარებს მტკიცე დისციპლინას— შინაგანი განწესრიგების წესებს და იმუშავებს სათანადო კანონებს. აწესებს მორიგეობას და აწარმოებს მოწაფეთა დასწრების აღრიცხვას. ეცნობა სკოლის ფინანსიურ შესაძლებლობას და ზრუნავს მის გასაუმჯობესებლად და ა. შ.

საზოგადოებრივ პოლიტიკურ-კულტურულ განმანათლებელი სექცია ხელმძღვანელობს საკლუბო მუშაობას (მასიური და წრეობრივი), სცემს კედლის გაზეთს და ხელნაწერ ჟურნალს. აწყობს ბიბლიოთეკა-საკითხველოს და „კუთხეებს“. კავშირს ამყარებს კულტურულ განმანათლებელ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. მართავს წარმოდგენებს, გასამართლებებს, საღამოებს, დისპუტებს და ატარებს სხვადასხვა კამპანიებს, დღესასწაულებს და ექსკურსიებს. აწარმოებს ანტირელიგიურ პროპაგანდას და ჟურნალ გაზეთების გავრცელებას. აარსებს და ხელმძღვანელობს ლიტერატურულ, ტეხნიკურ, დრამატიულ, მუსიკის და სხვა სახის წრეებს. მოწაფეთა მასას უმარტავს ნებაყოფლობითი საზოგადოებების მნიშვნელობას და ფართედ აბამს მასში. ამყარებს სანიტარულ პირობებს სკოლაში და ამ მხრივ ეწევა სანიტ.-გიგიენურ პროპაგანდას, სწავლობს ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებს და ეწევა ფიზკულტურულ მუშაობას.

ასეთია მოკლედ ცალკე სექციების მოვალეობანი— მათ მუშაობაში მრავალი რამ არის საერთო, მაგრამ მოწაფეთა კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობის ქვეშ აცილებული უნდა იქნეს ყოველგვარი გაუგებრობანი და ურთიერთისადმი ვერ

*) იხ. „გან. მუშაკი“ № 8.

გაგება—საბოლოოდ კი სექციების მუშაობა ერთს მთლიანს უნდა წარმოადგენდეს. თვითმართველობა მტკიცე კონტაქტში უნდა იყოს სკოლის ხელმძღვანელებთან და საჭიროების მიხედვით მუშაობა შეთანამებულად ჩაატაროს.

ტეხნიკუმის მოწაფეთა თვითმართველობის დებულებაში არაფერი არ არის ნათქვამი ლენინური კომკავშირის მონაწილეობის შესახებ თვითმართველობის მუშაობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომკავშირი ფაქტიურად მონაწილეობას არ იღებდეს მოწაფეთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება-სქაჭიანობაში.

კომკავშირი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, თავის გავლენის მოსაპოვებლად მუშაობას აწარმოებს ყველგან, სადაც კი ახალგაზრდობა იმყოფება. სკოლა ამ მხრივ მოწავლე ახალგაზრდობის მასიური შეკრების ბაზად ითვლება. ამ ახალგაზრდობის ვაერთიანება-შეკავშირება თვითმართველობის შემწეობით ხდება. მაშასადამე, მოწაფეთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მის საქმიანობაში მონაწილეობა კომკავშირის ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს. მართალია, გასულ სამოსწავლო წლებში ადგილობრივი უჯრედები საერთოდ ამართლებდენ თავიანთ დანიშნულებას; მოწაფეთა შორის მუშაობაში გვაქვს საგრძნობი მიღწევები, მაგრამ ამასთან ერთად არის მთელი რიგი ნაკლიც. როგორია ეს ნაკლულოვანებანი და რა ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული მათ დასაძლევად?

წარსულში კომკავშირის ხელმძღვანელობა მოწაფეთა ორგანიზაციის მუშაობაში ზერელე და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. **თვითმართველობა სკოლის ცხოვრებაში და მის მუშაობაში არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ის წარმოადგენდა ამორჩეულ პირთა უხეირო აპარატს.** ეს ნაკლი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ადგ. უჯრედი წინასწარ უნდა აწესრიგებდეს იმ საკითხს, რომელიც გათვალისწინებულია მოწაფეთა ან მათ ორგანოების სხდომაზე დასამუშავებლად. ამ საკითხის ირგვლივ უნდა იმართებოდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ა. შ... მეორეს მხრივ, თვითმართველობის დებულების გაუთვალისწინებლად ხდებოდა ხელმძღვანელ ორგანოების მექანიკური არჩევნები, რაც იწვევდა მთელი წლის განმავლობაში მუშაობის მოუწესრიგებლობას. ჩვენი მიზანია, რომ ადგილი ექნეს გეგმაშეწონილ მუშაობას. **ამისათვის სახელმძღვანელო ადგილებზე უნდა წამოვაყენოთ ენერგიული გამოცდილი და ავტორიტეტიანი ამხანაგები, შევიმუშაოთ განსაზღვრული გეგმა მოქმედებისა და მუშაობაში ჩავაბათ მოწაფეთა მასა მთლიანად და არა რამოდენიმე პიროვნება, როგორც ეს დღემდე იყო.**

ჯერ კიდევ ზოგან ადგილი აქვს კომკავშირელთა „ყოყოჩობას“ და ძალების გადაუსებას, რაც დიდად უშლის ხელს ნორმალურ მუშაობას. ადგილობრივი უჯრედები ყოველივე დადგენილებებს ატარებს თვითმართველობის ორგანოებში გაყვანილ კომკავშირლების საშუალებით. **იგი კომუნისტური ფრაქციაა სკოლაში და მოსწავლეთა ყოველგვარ მუშაობაში შეაქვს კომუნისტური ხაზი.** ერთხელ და საბოლოოდ უნდა უარყოთ სამხედრო კომუნიზმის მეთოდები, რასაც დღეს ზიანის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლია. უნდა მივაღწიოთ უპარტიო მოწაფეების აქტივის დაახლოვებას მუშაობაში ჩაბმით და მათთან სწორი ურთიერთობის დამყარებას; ასევე უნდა მოვიქცეთ მასწავლებელთა მხარეთაც. კომუნისტ-მასწავლებლებს მეტი ენერგიული დახმარების გაწევა მართებთ

კომკავშირისთვის დასახულ ამოცანათა გასატარებლად. გულგრილობას და პასივობას ბოლო უნდა მოეღოს პედაგოგიურ საბჭოში უნდა გავგზავნოთ აქტიური კომკავშირლები, რომელთაც შეეძლებათ სათანადო გავლენის მოპოვება და საკითხების შესაფერისად დამუშავება. კომკავშირმა მიმდინარე ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა შეამოწმოს განკლილი მუშაობა, ჯამი გაუკეთოს იმას, თუ რამდენათ იქნა გატარებული ცხოვრებაში დასახული ამოცანები, მიუთითოს ნაკლულოვანებაზე და დასახოს ახალი პრაქტიკული ღონისძიებანი. **სხვადასხვა წრეებს, რომელიც არსებობენ სკოლაში, არ უნდა ექნეს შემთხვევითი ხასიათი, როგორც ეს ხშირად ხდება სკოლის სინამდვილეში, არამედ ის სისტემატიური, მოწესრიგებული და ხანგრძლივი უნდა იყოს.** ზოჯერ მოწაფე კომკავშირლები ძლიერ იტვირთებიან. საჭიროა კომკავშირმა იზრუნოს დროის რაციონალურად გახაწილებისათვის. აქ მაედველობაში მიღებული უნდა იქნეს, როგორც სკოლის, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა, აგრეთვე ოჯახის დატვირთვაც. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკი. დღემდე მოწაფეთა მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევებში ადგილი ჰქონდა შეუფერებელ ზომების გატარებას. **„სასჯელი", როგორც დანაშაულის გამოსყიდვა კომკავშირმა უნდა უარყოს.** საჭიროა შეცდომებზე ისწავლონ მოწაფეებმა, გაიგონ, თუ რა არის კარგი და რაა ცუდი. **არც სასამართლოების შემოღებაა მისაღები; იგი რყვნის მომავალ თაობას და შურის ძიებას იწვევს მათში.** მოწაფეებში ჩვენ უნდა განვამტკიცოთ თვით დისციპლინის იდეა. თვითმართველობის მუშაობა არ უნდა განისაზღვრებოდეს სკოლის ფარგლებში, არამედ კომკავშირმა უნდა შესძლოს სკოლა მთლიანად დაუახლოვოს გარემოს, მოსახლეობა დარაზმოს სკოლის გარშემო, იქონიოს კავშირი საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებებთან და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, კომკავშირი უნდა გახდეს მოწაფეთა თვითმართველობის საქმიანობის ხელმძღვანელი და რეგულიატორი *).

*) წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხება კომკავ. მონაწილეობას მოწაფეთა თვითმართველობის მუშაობაში საერთოა და არა მხოლოდ ტექნიკუმების მოწაფეთა ორგან. გაეთიანების მიმართ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მოწაფეთა თვითმართველობის დებულება დაახლოვებით ისეთივეა, როგორიცაა ტექნიკუმების – განსხვავება უმნიშვნელოა.

გ. ხ.

ექსპერტიზა საბიბლიოთეკო მომუშავის წოდების მისაღებად.

(საგამოცდო პროგრამის გამო)

ექსპერტიზა ბიბლიოთეკარის წოდების მისაღებად დიდიხანია არსებობს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში. მაგ. გერმანიაში (სახელდობრ პრუსიაში) ის შემოღებულია 1893 წლიდან მეცნიერ ბიბლიოთეკართათვის, ხოლო 1909 წლიდან უკვე ყველა ბიბლიოთეკართათვისაც. ამერიკაში კიდევაც არსებობს ბიბლიოთეკის მცოდნეობის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი. სსრკ-ის რესპუბლიკებში ბიბლიოთეკართა ექსპერტიზა და სათანადო საექსპერტო კომისიების დაარსება ხმარებაში შედის მხოლოდ რევოლუციის შემდეგ. საყურადღებოა მაგალითად რსფსრ-ის აკადემიურ ბიბლიოთეკების ახალი (1926 წლის) ტიპიური წესდების მუხლი 21, რომლითაც გათვალისწინებულია ბიბლიოთეკართა ექსპერტიზა: „Для занятия должности заведывающего библиотекою (или директора), заведывающих отделении, их помощников, научных сотрудников и секретаря требуется высший образовательный ценз, достаточный стаж (не менее одного года) в одной из научных библиотек **и выдержание испытания**, согласно особым правилам, устанавливаемым библиотечным п/отделом Главнауки». (См. «Еженедельник Наркомпроса РСФСР», 1926 № 42).

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, გამოცდების გატარება, როგორც ბიბლიოთეკარის, ისე საბიბლიოთეკო ტეხნიკური მომუშავის წოდების მისაღებად, დაეკისრა პოლიტგანათლების მთავარ მართველობასთან არსებულ საბიბლიოთეკო საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რესპუბლიკური საგამომცდელო-საექსპერტო კომისიას. (იხილე „განათლების მუშაკი" 1927 წ. № 1, გვ. 49—50). ამ კომისიაში შედიან პოლიტგანათლების მთავარმართველობის, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მართველობის და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენელნი და საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის ორი წევრი. **ამ ნაირად დაარსებულია რესპუბლიკის მაშტაბით კომპეტენტური საექსპერტო ორგანო.** აღნიშნული კომისია უკვე მოწვეულია პოლიტგანათლების მთავარმართველობის მიერ და დაამტკიცა საგამოცდო პროგრამა (პროგრამა მინიმუმი), რომელიც მოყვანილია ქვეშით. პოლიტგანათლების მთავარმართველობის განცხადების თანახმად, **კომისიის პირველი სესია დანიშნულია** 1928 **წლის თებერვლის** 15 **დან** 20-**დე**. ამ სესიის მიზანია, ეხახდინოს ექსპერტიზა ჯერ მაოლოდ საბიბლიოთეკო მომუშავის წოდებაზე, მცირე ბიბლიოთეკების და მეცნიერულ ბიბლიოთეკებში ტეხნიკურ მომუშავის თანამდებობის დაკერის უფლებით. ამ სესიის განმავლობაში არ არის გათვალისწინებული ექსპერტიზა კვალიფიციური ბიბლიოთეკარის წოდების მისაღებად.

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება სრულებით არ ეხება იმ პირებს, რომლებიც მისი გაცემამდე (ე. ი. 1927 წლის 1 ოქტომბრამდე) უკვე მსახურობდნენ ბიბლიოთეკებში. კომისიამ უნდა გამოცხადნენ ყველა კანდიდატები, რომლებსაც ჰსურთ ამ თარიღის შემდეგ განთავისუფლებულ შტატიან ადგილების დაჭერა და ბიბლიოთეკების პრაქტიკანტები.

ექსპერტიზას აქვს მიზნად შეამოწმოს ამ კანდიდატების სათანადო მომზადება, როგორც საბიბლიოთეკო საქმის ცოდნის, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მომზადების მხრივ.

არც ერთ დაწესებულებას არა აქვს უფლება დანიშნოს საბიბლიოთეკო თანამდებობაზე ისეთი პირი, რომელსაც არ ჩაუბარებია სათანადო გამოცდები კომისიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკების ძველ მომუშავეთა მხრივაც შემოდის თხოვნები კომისიის მიერ მათი კვალიფიკაციის შემოწმების შესახებ, რაც წინააღმდეგობას არ იწვევს.

რადგან დეკრეტი ეხება სამაზრო ცენტრების ბიბლიოთეკებსაც განცხადებანი მიიღება მაზრებიდან კომისიის სახელზე შემდეგი მ სამართით: ტფილისი, ჯორჯაძის ქუჩა, № 4. სკოლის გარეშე განათლების სახლი. საგამომცდელო საექსპერტო კომისიას.

საგამოცდო პროგრამა საბიბლიოთეკო მუშაკის წოდების მისაღებად

(პროგრამა-მინიმუმი)

I. წიგნის და ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია.

1. უწინდელი და თანამედროვე ბიბლიოთეკა. 2. ბიბლიოთეკა ს. ს. რ. კ-ში 3. თანამედროვე ბიბლიოთეკის თავისებურებანი. 4. ბიბლიოთეკის სხვადასხვა ტიპი.

II. საბიბლიოთეკო ტექნიკა.

1. საინვენტარო დავთარი და წიგნების დალაგება თაროებზე. 2. კატალოგი: კატალოგის მნიშვნელობა ბიბლიოთეკისათვის; კატალოგის ფორმები; საბიბლიოთეკო წერა. 3. კატალოგის სხვადასხვა სახე: სისტემატიური, საგნობრივი, ანბანური, ტოპოგრაფიული. 4. წიგნების გაცემის ორგანიზაცია (აბონემენტი); მკითხველებისა და წიგნების ფორმულარები, ღია თაროები, პატარა ბიბლიოთეკების გამარტივებული საბონემენტო სისტემა. 5. საბიბლიოთეკო სტატისტიკა: მიმდინარე სტატისტიკა, წლიური ანგარიში, დიაგრამების შედგენა. 6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; ბრძოლა წიგნების დაკარგვისა და გაფუჭების წინააღმდეგ. 7. ბიბლიოთეკის რევიზია.

III. ბიბლიოთეკის შედგენა და შევსება ახალი წიგნებით.

1. განყოფილებათა პროპორციონალობა. 2. წიგნებით შევსების ტექნიკა; სარგებლობა საბიბლიოგრაფიო სახელმძღვანელოებით და ინსტრუქციით, დაძველებულ წიგნების გამორიცხვის შესახებ.

(დასასრული იქნება)

ვ. კაკულია.

თვითგანვითარება და მისი ორგანიზაცია.

Სოციალიზმის შენების ამოცანები მოითხოვს მშრომელთა ფართო მასებისაგან, რომ მათ მიიღონ უფრო და უფრო მეტი ცოდნა, როგორც სპეციალური, ისე ზოგად პოლიტიკურ განათლების დარგში. კულტურული მუშაობის ფართედ გაშლა, აგიტაცია, პროპაგანდა, მოხსენებები, გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, ლიტერატურის ფართოდ გავრცელება; აგრეთვე სისტემატიური სწავლა სკოლებში: მუშფაკები, მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლები, პოლიტსკოლები, მუშათა უნივერსიტეტები—საერთოდ სკოლათა ქსელი, ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი, რომ დააკმაყოფილოს მშრომელთა ფართო მასის სწავლისადმი წყურვილი. პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიზანია, რაც შეიძლება ასწიოს მშრომელთა მასის კულტურული დონე; მარტო სკოლათა ქსელის გაფართოებით ეს ვერ ხერხდება. მშრომელთა მასის აქტიურობა დღეს უმაღლეს წერტილს აღწევს ვიდრე ოდესმე, აგრეთვე ეს აქტიურობა დღითი დღე იზრდება. ამიტომ დღეს უნდა იქნეს გამოყენებული უფრო სხვა ფორმა მშრომელთა ფართე მასების კულტურულ დონის ასაწევად, ისეთი ფორმა, რომელიც ნაკლები ენერგიის და საშუალებათა დახარჯვით მოგვცემს დიდ ნაყოფს. ასეთ ფორმას წარმოადგენს თვითგანვითარება. თვითგანვითარების საშუალებით შეიძლება მშრომელი არ ჩამორჩეს ცხოვრებას, რომელიც ჩქარის ტემპით მიმდინარეობს და მუდამ ახალ მოთხოვნილებას აყენებს. რუსეთში ეს მ შაობა ფართოდ არის გაშლილი. საქართველოში კი ახლა იკიდ ბს ხელს საქართველოში, რომ თვითგანვითარებისათვის არის მომზადებული ნიადაგი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პ ლიტკოდნის მოძრავი და სტაციონალური სკოლის დამთავრების შემდეგ, მსმენელები მოითხოვენ, რომ მათ ძიეცეს საშუალება სხვადასხვა დარგში საფუძვლიანი ცოდნის მაღებისა და მრავალი კიდევ სხვა ფაქტებიც, რომელთაც დასახელებას არ შეუდგები. მრავალი მსმენელები ეწერებიან დაუსწრებელ კურსებზე (заочные курсы). დღეს თვითგანვითარებითი მუშაობით დიდად დაინტერესებულნი არიან და აწარმოებენ მუშაობას პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტპროფგანყოფილებასთან არსებობს თვითგანვითარების ცენტრალური კომისია, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის მაშტაბით ყველა დარგის თვითგანვითარებითი მუშაობას; აგრეთვე არსებობს თვითგანვითარებითი ბიურო, პოლიტგანათლების მთავარმართველობასთან, რომელიც მიზნად ისახავს განავითაროს მუშაობა, კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო, სანიტარულ და ზოგადი განათლების დარგში. გარდა ამისა არსებობა კომისიები მაზრების აგიტპროფგანყოფილებებთან. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, რომ ამ მუშაობაში ჩავაბათ ფართო მასები, საჭიროა მოსამზადებელი მუშაობა გავშალოთ ფართოდ.

მიუხედავათ იმისა, რომ მშრომელთა ფართო მასებში, დიდი წყურვილია სწავლისადმი, მაინც ვინაიდან თვითგანვითარება არის ახალი საქმე, ამიტომ

პირველად ამ საქმეს არ დაეწაფებიან. თვითგანვითარება არის ახალი და ამავე დროს მასის შეგნება მას არ დაუპყრია. ესაა მიჩვეულია სკოლას, სკოლას ის უყურებს ტრადიციით, როგორც ერთად ერთ საშუალებას ცოდნის მისაღებად. ძნელია, რომ თვითგანვითარების საქმემ დაიკავოს ღირსეული ადგილი სახალხო განათლების სისტემაში, საჭიროა ყველა კულტურული ძალები დაუკავშიროთ ამ საქმეს. პროფკავშირების წევრებზე შეიძლება ორგანიზაციული ზეგავლენა მოვახდინოთ, მაგრამ პროფკავშირების არა წევრებზე ვერა. საერთოდ ამ საქმის იდეის პოპულიარიზაციისათვის საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის წარმოება არ შემოკფარგლოთ განსაზღვრული დროთი, არამედ სისტემატიურად უნდა მოვაწყოთ საუბრები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, მოვიწვიოთ სპეციალური თათბირები ამ საკითხებზე, გამოვიყენოთ კედლის გაზეთები, მოვაწყოთ თვითგანვითარების კუთხეები და სხვა. ამ მუშაობის ჩასატარებელ ცენტრებად უნდა გახდენ ქალაქებში კლუბები ბიბლიოთეკები, აგიტპროპკაბინეტები. სოფლებში კი ბიბლიოთეკები (თუ ასეთები არსებობს) ან ქოხ-სამკითხველოები. თვითგანვითარების საქმის ორგანიზატორებად, ქალაქად უნდა იქნან გამოყენებული სხვადასხვა კულტურული ძალები, სოფლებში კი უპირველეს ხანებში, პოლიტკოდნის მოძრავი და სტაციონალური სკოლების ხელმძღვანელები. უკიდურეს შემთხვევაში ქოხ სამკითხველოს გამგეები და შემდეგ უნდა იქნას აღებული კურსი, რათა ამ საქმეს დაუახლოვოთ თემებში არსებული პარტიული, კომკავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციები. მოსამზადებელ მუშაობის შემდეგ დაარსებულ უნდა იქნას სხვადასხვა დარგში თვითგანვითარების წრეები და აღრიცხული ინდივიდუალები, როგორც ქალაქად ისე სოფელად. მაგრამ სოფელში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკურ-ზოგად და სასოფლო სამეურნეო დარგში თვითგანვითარებითი მუშაობას. მუშაობის წარმოების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ორგანიზატორი და კონსულტანტი არ იყოს ერთი და იგივე პიროვნება. ქალაქში კონსულტანტების ძნობა არ გამოიწვევს სიძნელეს, მხოლოდ სოფლებში ამ მარავ ცოტა სიძნელეებს წააწყდებით. საკონსულტაციო ადგილად ყველაზე უფრო კარგია გამოყენებულ იქნას ქალაქებში კლუბები და ბიბლიოთეკები, აგიტპროპკაბინეტები (სადაც არსებობს) სოფელში კი სოფლის სამკითხველო სახლი ან (სადაც ასეთები არაა) ქოხ-სამკითხველო. საერთოდ უკანასკნელი, როგორც კულტურული ცენტრი უნდა იქნას გამოყენებული კონსულტაციის წერტილად თე ის ფარკლებში. თემში კონსულტანტად უნდა იქნან გამოყენებული პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების, კოოპერაციის და პოლიტგანყოფილებები; აგრეთვე მასწავლებლები (ზოგადი განათლების) და აგრონომები სასოფლო-სამეურნეო დარგში. ამ ძალებიდან უნდა შეიქნან თემებში საკონსულტაციო ბიუროები. თემების საკონსულტაციო ბიუროები იმუშავებენ მაზრის თვითგანვითარების ბიუროსთან არსებული საკონსულტაციო ბიუროს უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. თავის მხრივ საკონსულტაციო ბიუროს მუშაობა შენდება უმთავრესად ორი მომენტისაგან: 1. გაუწიოს თემში არსებულ თვითგანვითარებითი წრეებს და ინდივიდუალებს ხელმძღვანელობა; 2 დაეხმაროს თვითხელმძღვანელებს მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში. ჯერ ჯერობით ამის გაკეთება გახდება საფუძველი მომავალში მუშაობის გასაფართოებლად.

წრეების მუშაობა განძის რაიონში

(სენაკის მაზრა)

ახალი შრომის სკოლა მოითხოვს მომზადებულ მასწავლებელს. თუ მასწავლებელი არაა მომზადებული მას არ შეუძლია დაძლევა ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებისა, რომელიც მას ხვდება სკოლაში ყოველდღიურ მუშაობის დროს. ამ მხრივ ის უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. ამის გამო ყოველი მუშაკი ცდილობს, რაც შეიძლება ფართე გასაქანი მისცეს გონებრივ განვითარებას და გაიწვრთნას ახალ-ახალი აზრებით. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას გაუწევს სხვადასხვა წრეებში მუშაობა. სწორედ ამ მიზნით განძის რაიონის მასწავლებლობამ დაარსა გასული წლის ოქტომბერში ორი წრე: თვითგანვითარების და პედაგოგიური. როგორც პირველს, ისე მეორეს შედგენილი აქვს წლიური სამუშაო გეგმა, რომლის მ ხედვით აწარმოებენ მუშაობას. თვითგანვითარების წრის მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებლობა იკრიბება 15 დღეში ერთხელ, რომელიმე ამიანაგზე დავალებული ლექცია-რეფერატის მოსასმენად. პედაგოგიური წრე არჩევს პედაგოგიურ საკითხებს, კითხულობს რეფერატებს პედაგოგიკიდან და სხვა. გარდა ამისა პედ-წრის ხელმძღვანელობით ხდება 7 წლედის მაშტაბით ჯგუფებისა და საგნების თემის დამუშავება. წრე უყრის თავს მასწავლებლობას კვირაში ერთხელ და მუშაობს თავის გეგმის მიხედვით. მაგ., ჯგუფებისა და საგნების მასწავლებლები დაყოფილია სექციებად—სულ არის 9 სექცია. თვითეული სექციას ყავს თავისი ხელმძღვანელი. თვითეული სექციის მუშაობა გამოიხატება ტრამსტრიულ თემების დამუშავებაში, კვირეული და დღიური კონსპექტების შედგენაში. ასე რომ მუშაობა ორივე წრეებში ხელშემშლელი პირობების მაუხედავად წარმოებს დამაკმაყოფილებლად.

რომ უფრო მეტი ნაყოფიერი შეიქნეს მუშაობა, რომ ამით მიეცეს საშუალება მასწავლებლობას უფრო კარგად დაეუფოს წრეებში მუშაობას, სასურველი იქნებოდა და უფრო მიზანშეწონილიც რაიონის მაშტაბი თემის მაშტაბად გადაიქცეოდეს, რადგანაც განძის რაიონი შესდგება 3 მოზრდილი თემებისაგან. ზოგი თემი დაშორებულია საროიონო ცენტრს 4—5 ვერსით. ეს მანძილი კი ხელს უშლის წრეების ნორმალურ მუშაობას, რადგან გაკვეთილის დამთავრების შემდეგ დაღლილ მასწავლებელს უხდება წრეებში სიარული, იქ უსადილოდ დარჩენაც და საღამოს 8—9 საათამდი ყოფნა, რაც შეუძლებელია. კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას სათანადო ორგანოები, ჩამოაყალიბებდეს წრეებს თემის მაშტაბით და ჩვენს მუშაობასაც გახდიდეს უფრო მეტ ნაყოფიერად.

ა. ცანავა.

Ვ. ᲛᲐᲚᲐᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘ

(35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო)

მაქსიმ გორკი! ამ ადამიანის სახელთან დაკავშირებულია რუსეთის ხალხის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. მაქსიმ გორკი მთელი ეპოქაა რუსეთის მშრომელთათვის, მისი შემოქმედების პოეტური ჩირაღდნები განახლების ძალებად პრიალებენ ოცდახუთმეტი წლის მანძილზე.

ოთხმოციანი წლების რეაქცია სამარის ღრმად აწვა დიდი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ალექსანდრე მესამის მძლავრმა თათმა ყოველმხრივ შეაბოჭა ქვეყნის სასიცოცხლო ძალები და პობედონოსცევის ლოცვა-კურთხევით ლაგამ ამოდებულ ხალხზე ზრუნვა იმ 130 ათას თავ დობას გადაეცა, რომელიც აღიარებულ იყო ქვეყნის მორალად და ადამიანთა უკუღმტურეს ჯიშად.

ნაროდნიკულ ინტელიგენციის გმირული ბრძოლა ალექსანდრე მეორის ტრაგიკული სიკვდილით დასრულდა. ეს აქტი ერთგვარი პოლიტიკური ხარაკირი შეიქნა მაშინდელ რევოლუციონერებისათვის და გააფთრებულთა რეაქციამაც ფრთა გაშალა.



ტრაგედიით გაბრუებული ინტელიგენტური სული ერთიანად მოიშალა და დიდ საქმეთა ნაცვლად პატარა საქმეების კეთების ფილოსოფია გამოცხადდა: კომბოსტოს რგვა და ქაფქირით ხელში ქაფის გადმოღება. ამ ხანაში შექმნილი გამოთქმებია. ამავე ხანაში გამძაფრა დიდმა ტოლსტოიმ თავისი მონური ფილოსოფიის —არა აღუდგე ბოროტებას— ქადაგება და ჩეხოვის ნაზი სულიც ალუბლის ბაღებში ელვენთებოდა. უიმედობა, წუწუხი, ერთი ადგილის ტკეპნა. საკუთარ „მე“-ში ხარშვა, ტყვიით განგმირულ დედა-მამრალები, ბიძია ვანოთა კვნესა და ოცნება იმ ბრწყინვალე მომავალზე, რომელ ც ორი წლის შემდეგ დადგება,- აი რა ახასიათებს ჩეხოვის მოთხრობებისა და დრამების მიხედვით ამ დროის ინტელიგენციას.

ჭეშმარიტად ბიტბორავენ დღენი ინტელიგენციისა... ბატონყმობის ღელიდან განთავისუფლებული გლეხი კი უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გადაეშვა და ნელნელა აწყობს თავის ყოფას ახალ პირობებში: მის წრეში თაობებს ცვლიან ბალღაველები და რაზვევები, ჩოდრს „ჭუნაჭი“-დრამები ბურჟუა, თარეშობენ ჩარჩები, ლვაწლიანი პროლეტარიატი კი ნელ ნელა ირაზმება, იარაღდება ახალის რევოლუციონერის თვალსაზრისით და 1859 წელს პლეხანოვის პირით ჟენევაში ამბობს: რუსეთის რევოლუცია მუშათა ბრძოლით გაიმარჯვებს, სხვა მხრივ ხსნა არ არისო.

და იმ დროს როცა ტახტი და საკურთხეველი—ალექსანდრე III და პობედონოსცევი საბოლოო გამარჯვების დღეს დღესასწაულობდნენ, სრულიად მოულოდნელად მათ რეჟიმს ჭდიდესი

გამოცდის წამები დაუდგა: 1892 წელს რუსეთში დატრიალდა საშინელი სიმშილობა, რომლის დროს აშკარად გამოირკვა ბიუროკრატიის გაკოტრება და საზოგადოებრივი ძალებიც მედგრად ახმაურდნენ. გაირღვა რეაქციის ჯებირები და ნიაღვარად მოედო დაგუბებული წყალი რუსეთის დაუსრულებელ ველ-მინდვრებს.

და გორკის „ქარიშხლის წინამორბედი" ფრინველიც მაშინ აფრინდა ზღვისაკენ. წარმტაცი იყო ამ ფრინველის ფრთათა გაშლა და აღმაფრთოვანებელი იყო მაქსიმ გორკის გმირული ყიჟინა:

— დეე, იფრინოს ქარიშხლის წინამორბედმა, დეე, აგრიალდენ ზღვის ტალღები, მე ამას ველი, მე ამას შევხარობ.

ამ დღიდან მოყოლებული მაქსიმ გორკი განუწყვეტლივ ქარიშხალს უგალობს და მუდამ განახლებისა და გარდაქმნისაკენ მოუწოდებს. არ ყოფილა ჭამი ამ ოცდა ხუთმეტის წლის განმავლობაში, რომ მაქსიმ გორკის განახლების დროშა ძირს დაეხაროს და უკან მოეხედოს. „წინ, წინ" ყიჟინებდა იგი და დღესაც ამ ლოზუნგით დგას თავის სახალხო ლიტერატურულ სადარაჯოზე.

გორკის რთულ ლიტერატურულ და პრაქტიკულ შემოქმედებას მრავალი საყურადღებო ეტაპი გაუვლია. მაგრამ ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ორზე: გორკი 1905 წლის რევოლუციამდე და მის შემდეგ.

ბედნიერია მწერალი, თუ მისი ნიჭის განფურჩქვნას საზოგადოებრივი პირობებიც უწყობს ხელს. გორკის ნიჭი ბედნიერ საათზე წარმოიშვა. იგი განსაზღვრულ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პსიხოლოგიურ პირობებში წარმოიშვა და ყოველთვის ახლო იდგა იმ მიჯის ქვეშ მშრომავ ცეცხლთან, რომელსაც ძველი რუსეთი უნდა დაეწვა. გორკი ერის ქვედა ფენებიდან გამოსული ადამიანი იყო და მისი თვალთახედვა მუდამ მუშათა კლასისკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ სამრეწველო პროლეტარიატის მაგიერ მან ლუმპენპროლეტარული ელემენტები აირჩია თავისი მოთხრობების პერსონაჟებად, ვინაიდან თავისი პირადი ჭარსულით იგი ამ წრეს უფრო კარგად იცნობდა. რუსული ბოლიაკობა მანამდისაც ყოფილა მწერლობის ობიექტი, მაგრამ არავინ რუსეთის თვალსაზრისით არ მიდგომია მათ. როგორითაც გორკი მიუდგა. ბოსიაკთა ცხოვრების კვინტესენცია—თავისუფლებისაკენ რომანტიული ლტოლვა,—აი რა გაიხადა თავისი შემოქმედების საგნად გორკიმ.

მაშინდელი რუსეთის საზოგადოებაც ამ გრძნობით არის დაავადებული და კიდეც მყარდება ის ურთიერთ გაგება, რომელიც აგრე საჭიროა მწერალსა და საზოგადოების შორის.

ყველა ის ჩელკაშები და მოხეტიალე ლუკები, რომელსაც პირველ რევოლუციამდე გორკი ხატავდა, უპირველეს ყოვლისა თავისუფლებისა და უკეთესი ქვეყნის მაძიებელი პიროვნებებია. მათი ნიშანდობლივი ინდივიდუალიზმი და არსებულის მკვეთრი კრიტიკა განახლების მერცხლების შარავანდედში ხვევს მათ და მთელი პროგრესიული რუსეთიც მათ თანაუგრძნობს. ჩეხოვის „პიკის ვანოსა", „ალუბლის ბაღისა" და „სამი დის" გვერდით გორკის „ბსკერზე" მთელ ეპოქას ქმნის რუსეთის აზროვნებაში და თეატრის კედლებში.

გორკის დიდმა ნიჭმა და სინამდვილის მიდგომის მხრივ ფრიად ორიგინალურმა შემოქმედებამ არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის ლიტერატურის ყურადღებაც კი მიიპყრო, ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის ხანაში.

მაგრამ დადგა 1905 წელი და გორკის მიერ დასურათებული თავისუფლების მოყვარე ბოსიაკობა ებრაელთა რბევაში ჩაება და რევოლუციისათვის სრულიად გამოუდეგარი ძალა შეიქნა.

ეს გარემოება ღრმად იგრძნო დიდმა მხატვარმა და მთელი თავისი დიდი ნიჭი სამრეწველო პროლეტარიატის სულისკვეთებათა ასასახავად მიმართა. მისთვის ნათელი იყო, რომ ლუმპენ პროლეტარული ბოსიაკობა უფრო რომის ტიპის პროლეტარიატს ჰგავდა, ვინემ ცხოვრების უღელში შებმულ სამრეწველო ხასიათ ს მუშათა კლასს, რომელიც მართლაც რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი და თავდადებულია.

ამ ხანებში გორკიმ შექმნა თავის ცნობილი რომანი „დედა" და პიესა „მტრები". აქედან იწყება მის შემოქმედებაში დიდი გარდატეხა და ახალი სახეების ძიება. პირველი რევოლუციის ჩამქრალ რეაქციის დროს მაქსიმ გორკი დაუღალავად შემოქმედებს ამ სფეროში და დიდ გამარჯვებასაც მიაღწევს. მაშინდელ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით რუსეთის ლიტერატურაში ფორმა გაშალა დეკადენტურმა ლიტერატურამ და პირადი ბედნიერების ძიებით გატაცებულმა ბურჟუაზიულმა სულის კვეთებამ. ამ ეპოქას შესანიშნავად ახასიათებს არციბაშევის რომანის „სანინის" გმირი—ვლადიმერ სანინი, რომელიც პირად ბედნიერებას ეძებს და სინამდვილეშიც ანბორციელებს. რაში მაინტერესებს ღე—32 საუკუნის ცხოვრება, თუ ჩემს საფ-

ლავზე ბალახი იბიბინებსო,—ამბობს იკი და შეუჩერებლივ ნადიროობს კარსავინების ლამაზ სხეულებზე. მერეჟკოვსკები და ბერდიავები მისტიციზმს ქადაგებენ.

მაქსიმ გორკი დიდიხანია მკვდრად გამოაცხადეს ამ ჯურის მწერლებმა და სულთათანას უგალობენ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად დიდი მხატვარი ამ დროს აქვეყნებს თავის დიდ რომანს „აღსარებას“ და რევოლუციის მესაფლავენიც სახტად რჩებიან. არა თუ მომკვდარა გორკი, არამედ უდიდეს სიფართეზე გაუშლია მას სამხატვრო ტილო და მისი კალამიც ძეთელი რუსეთის სივრცეს ხატავს. გადის ხანი და იგი მეორედ იძლევა თავის უდიდეს ტილოს—„ქალაქი ოკურევი“, რომელიც ღრმად შლის მთელი რუსეთის ტიპიურ ცხოვრებას.

ბევრი ახალი დ ორიგინალური სახე შექმნა თავისი შემოქმედების მეორე ხანაში გორკიმ: ინტელიგენტები, ვაჭრები, სასულიერო პირნი, მუშები, გლეხები... და ყველგან ორიგინალობა, ყველგან ახალი შუქი, ახალი მიდგომა. და რაც თავი და თავია ეს ახალი ცხოვრების პირისპირ დამდგარი პიროვნება, რომელიც ძველში ვერ თავსდება და წვითა და დაგვით იკაფავს გზას აზრიან და მოწესრიგებულ სოციალურ ცხოვრებისაკენ. ყოველთვის ძიება და არსებულის გარდაქმნისაკენ მისწრაფება, აი რა ახასიათებს დიდი მწერლის მიერ დასურათებულ პერსონაჟებს.

გორკის უყვარს აღმართ-დაღმართები და ღორო-ჩოღოები, ის განგებ ყველგან უსწორ მასწორო ადგილებს ეძიებს და აქ უყვარს ნაპრალიდან ნაპრალზე ხტომა. არც საკუთარ ცხოვრებაში და ასეა შემოქმედებაშიც. ის რევაქციის დროს კუნძულ კაპრიზე გაახსნული ბოლშევიკურ პარტიულ სკოლას აარსებს და მომავალ რევოლიუციონერებს ამზადებს, ამავე დროს მეძარჯვენე ლიბერალების „რუსკოე სლოვოშიც“ კი თანაშრომლობს. ხან ნაროდნიკულის ელფერით ქადაგებს და მედგრად ილაშქრებს დოსტოევსკის „ბესი“-ს პიესად გადაკეთების გამო, ხან კიდევ „ღვთის მშენებლობის“ იდეებს შლის.

მაგრამ ყველგან და ყოველთვის გორკი მაძიებელი სულია და რევოლუციონურის ცეცხლით იწვის. ამიტომ არის, რომ იგი ტოლსტოის შემდეგ რუსეთის მწერალთა შორის ყველაზე იდეიური და სპეტაკ მწერლად ითვლება. გორკი რევოლუციონური რუსეთის სინდისია და ამისათვისაა ყველასათვის საყვარელი მწერალი და ადამიანი.

გორკის ქართველი მკითხველიც კარგად იცნობს. იმ დროს, როცა გორკის ახლად მოვლენილ ნიჭით მთელი რუსეთი იყო აღტაცებული, ჩვენშიც ერთგულად თარგმნიდენ მას, თარგმანები იბეჭდებოდა „კვალში“, „მოამბეში“ და სხვ. მისი ერთგული მთარგნელები იყვნენ ვანო გიუნაშვილი, ივანი და სხვები. სამწუხაროდ მისი დიდი რომანებიდან ნათარგმნია მხოლოდ „სამნი“.

გაფრთხილება

ზოგიერთი ადგილკომები ძლიერ აგვიანებენ ხვედრი ფულის გამოგზავნას, რაიც დიდად აბრკოლებს ჟურნალის თავის დროზე გამოსვლას.

დაბეჯითებით ვთხოვთ ასეთ ამხანაგებს, ადგილკომებს და ერთეულ ხელის მომწერლებს, მათზე დარჩენილი ჟურნალის თვიური საფასური დაჩქარებით გადმოგზავნონ რედაქციაში.

ხერ. მაკალათია.

დ. უჩანეიშვილის რეცენზიის გამო.

გაზეთ კომუნისტის №-270 (2015) ნომერში დაიბეჭდა დ. უჩანეიშვილის რეცენზია ჩემ მიერ შედგენილ „საზოგადოებათმეცნიერების“ სახელმძღვანელოზე. წიგნის ბიბლიოგრაფიული განხილვა და მისი ღირსება-ნაკლულევანების აღნიშვნა რასაკვირველია მუდამ სასურველია და ზოგჯერ კი აუცილებელიც, მაგრამ ამისათვის საჭიროა საგნის ცოდნასთან სარეცენზიო შრომისადმი სერიოზული მიდგომა და მისი ობიექტური შეფასება.

რომ ეს ყველასათვის აშკარა და გასაგებიც იყოს, ჩვენ ძალუებული ვართ რეცენზენტის ზოგიერთს შენიშვნებს აქვე მოკლე პასუხი გავსცეთ. პირველი შენიშვნა შეეხება მონობის წარმოშობას, რასაც მე ვითომც ვხსნიდე მხოლოდ დამარცხებულ ტყვეების მონებად გადაქცევით. ეს აშკარა ტყუილია. ეს მოვლენა ჩემს წიგნში მარქსისტულად არის გაგებული და განმარტებული, როგორც ზედმეტ პროდუქციის დასაგროვებლად აუცილებელი პირობა. მაგალითად, წიგნში ნათქვამია: „ამისთანავე პირადი თუ წოდებრივი ძლიერებისათვის საჭირო შეიქმნა მეტი ქონების მოხვეჭა, მამულების გაფართოება და მეტი მუშახელის ყოლა (იხ. საზოგადოებათმეც. გვ. 24). ამიტომ ვამბობ მე: „მონათმფლობელი მებატონე მთავარ ყურადღებას აქცევდა მონების სიმრავლეს, რომ მათი საშუალებით მეტი დოვლათი დაეგროვებინა“ და სხვა. (იქვე გვ. 24). მონების მოსაგროვებლად კი თავდაპირველად ერთად ერთი საშუალება ლაშქრობა და ტყვევნა იყო. ჩემს სახელმძღვანელოში ასეთი აზრია გატარებული და მარქსისტულადაც ეს ასეა გაგებული. (იხ. Ф. Энгельс, Анти-Дюринг. 1918 г. გვ 160, 162).

შემდეგ რეცენზენტი შენიშნავს, ვითომც მე ვერ ვარკვევდე მონურ და თავისუფალ ხელოსნურ წარმოების ნაყოფიერებას. ესეც სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული. იმის ბტკიცება, რომ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მონები და ხელოსნები ხვედასხვა იარაღებით მუშაობდენ არავის შეუძლია. იარაღი, რასაკვირველია, ერთი იყო, მაგრამ ნაყოფიერება კი სხვადასხვა, რომლის შესახებ წიგნში გარკვევით ნათქვამია: „რომ მონების სიმრავლე და იაფი ღირებულება მონათმფლობელ მწარმოებელს საშუალებას აძლევდა მონურ წარმოების ნაკლებ ნაყოფიერებას შეერიგებოდა. ამასთანავე თვით მონაც არ იყო დახელოვნებული თავის საქმეში, რომელიც პატრონის შიშის ქვეშ მუშაობდა, მტრულად ეკიდებოდა საწარმოო იარაღებს და ნივთებს, ამიტომ მონა სრულიად არ ფიქრობდა საწარმოო იარაღების ტექნიკურ გაუმჯობესებაზე“ და სხვ (გვ. 32). ამასთანავე სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ მონურ ხელოსნობის წარმოშობამ თანდათანობით გახრწნა და ბოლოს მოსპო თავისუფალ ხელოსანთა კორპორაციები, რომლის შედეგი იყო ხელოსნობის დაქვეითება და სხვათაშორის თვით მონათმფლობელ საზოგადოების დაცემა და დაშლა. (იხ. გვ. 47-50, 54). რეცენზენტი „ქართველ ტომთა ძველ სამშობლოს და მათი ამიერკავკასიაში გადმოსახლების“ შესახებ (გვ. 54—58) შენიშნავს, ვითომც მე ვამტკიცებდი, რომ ბე-VII საუკ. ქ. წ. ქართველი ტომები ჯერ კიდევ შუამდინარის მიდამოებში ყოფილიყვნენ. ეს გაუგებრობა მხოლოდ კორექტორულ შეცდომაზეა დამყარებული, სადაც რომაულ VIII ნაცვლად დაბეჭდილია VII. რომ ეს ასეა, ამას ისიც მოწმობს, რომ აღნიშნულ გვერდებში ეს დრო ყველგან დათარიღებულია მე-XI-VIII საუკ. ფარგლებში. მე-VII საუკ. კი ქ. წ. ქართველ ტომების ჭრელ ველობა ამიერკავკასიაში ბინადრობდენ (იქვე გვ. 58).

ქალდეაში მობინადრე ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილების დარღვევის ამბავი რეცენზენტს გაჰკვირებია. ამ შემთ ვევაში რეცენზენტის უვიცობასთან ჩვენ გვაკვირებს რისი უტიფრობაც. თანამედროვე სოციოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია და ზოგნი შრომის სკოლის მოწაფეთაც იცის, რომ იმ საგვარეულოში, სადაც მეფობის ინსტიტუტი და მონობა ჩნდება, საგვარეულო წესწყობილება ირღვევა. (Фр. Энгельс. Анти-Дюринг გვ. 161, 143. იხ. მისივე Происх. семьи, частной собствен. и государства. 1922). ასურულ წყაროებიდან ცნობილია, რომ შუამდინარის მიდამოში მობინადრე ქართველი ტომები პატარა სამეფოებად დაყოფილი იყვნენ და მონარქიასაც ვაპრობდენ (სხვა არა იყოს რა, სასურველი იქნებოდა დ. უჩანეიშვილს ამის შესახებ ჩაეხედა თავის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორიაში“).

შემდეგ რეცენზენტი იხილავს ქართველ ტომების სახელწოდებებს (გვ. 57) და აქ მას ყველაფერი არეულად და გაუგებრად მიაჩნია. მაგრამ სამწუხაროდ ის კონკრეტულად არც ერთ ფაქტს არ ასახელებს და არც გვერდებს უჩვენებს, რომ შესაძლებელი იყოს ნათქვამში შეცდომა. რაც შეეხება იმას, ვითომც მე ვამტკიცებდე კოლხების და აფხაზების ტომობრივ ნათესაობას,

ეს აშკარა სიცრუეა. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ამ საკითხს საზოგადოდ არ ეხება. შემდეგ რეცენზენტი გადაჰყოთ აცხადებს, რომ ავტორი ფეოდალიზმის სწორ მიმოხილვას ვერ იძლევაო. სამწუხაროდ ამ შემთხვევაშიაც ის არ ბიგვითითებს რაიმე ფაქტიურ შეცდომაზე, მხოლოდ ხაზგასმით ამბობს: „რომ წიგნში არსად არ ჩანს ის წმინდა ეკონომიური მოტივები, რომელნიც აიძულებენ წვრილ მესაკუთრეებს მხვილ მეამბლებთან ვასალურ დამოკიდებულებაში შესულიყვენ“-ო. ესეც სიცრუეა. წინააღმდეგ,—სახელმძღვანელოში ფეოდალიზმის წარმოშობა და განვითარება დახასიათებულია წმინდა ეკონომიურ მოტივებით, (იხ. გვ. 65-67) სადაც ჩვენ ვამბობთ: „ფეოდალიზმი არის პოლიტიკურ-ეკონომიური წყობილების ისეთი ფორმა, რომელიც დამყარებულია მიწის საკუთრებაზე. ამიტომ მასში მთავარი — მიწაა, რომელიც დანაც გამომდინარეობენ მისი ყველა უფლებები და რომელზედაც აშენებულია ფეოდალური საზოგადოების ურთიერთობა“ ფეოდალურ ხანაში, ვამბობთ ჩვენ: „სუსტი ეძებდა ძლიერ მფარველს, რომელსაც შეეძლო მისი პიროვნების და ქონების დაცვა. სამაგიეროდ სუსტი ვალდებული იყო მფარველისათვის სხვადასხვა ყმური სამსახური გაეწია. ამის გარდა, როდესაც მემამულე არისტოკრატიის ხელში დიდძალი მიწები დაგროვდა, მათ დასამუშავებლად საჭირო იყო ყმების სიმრავლე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უფრო ფართო მეურნეობის წარმოება და მოლაშქრეთა რიგების გაძლიერება“ და სხვა. (გვ. 66) ამასთანავე რეცენზენტი აღშფოთებულია ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ბაგატ III დინასტიური უპირატესობის შესახებ საქართველოს გაერთიანების საკითხში. ვინც ფეოდალიზმის ისტორიას იცნობს, ისთვის აქ გაუგებარი და საშიში არაფერი არ არის. ფეოდალიზმის პოლიტიკური წყობილების ერთი ნიშანდობლივი თვისებათაგანი დინასტიური მემკვიდრეობა იყო, რასაც ფეოდალური საზოგადოება თავის ხმლით იცავდა. ამის უარყოფა არავის შეუძლია საჭიროა მხოლოდ ამ მოვლენის სწორი ახსნა. მემკვიდრეობის ეს ადათიც დაფუძნებული იყო ეკონომიურ მოტივებზე, რადგანაც ვინც დიდ მემკვიდრეობას იღებდა ის მეტადაც ძლიერდებოდა. ამიტომ ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელიც მრავალ დამოუკიდებელ ერთეულებისაგან შესდგებოდა ძალთა განწყობილებაც ხშირად ამ მემკვიდრეობის კანონითაც იღლეოდა. (Фр. Энгельс. Развит. социализма от утопии к науке. 1926. გვ. 89-93). მემკვიდრეობისათვის ამგვარი ბრძოლა ახასიათებდა დასავლეთ ევროპის და საქართველოს ფეოდალურ სამეფოებს.

„ფეოდალურ მონარქიის ძლიერებისა და საქართველოს აყვავების ხანიდან“ (გვ. 73-76) რეცენზენტს სრულიად უაზროდ ამოუგლეჯია სიტყვები: „ფეოდალებმა იგრძენეს მეფის ძლიერი ხელი“ (ნათქვამია დავით აღმაშენებელზე) „საქართველოს ძლიერება უმთავრესად დამყარებული იყო სამხედრო ძალაზე და არა რაიმე ეკონომიურ საფუძვლებზე“ და სხვა. ყველა ამას რეცენზენტი თავის კომენტარიებს უკეთებს, შეწუხებულია მისი ანტი-მარქსისტულ განმარტებით და როგორც „უზადო მარქსისტი“ მსრკისზმის გაყალბების გამო ნიანგის ცრემლიო იღვრება. ჩვენ ბევრეცდებით მის ამ მხრივაც დამშვიდებას.

საზოგადოდ ფეოდალურ მონარქიის ძლიერება ყველგან დამყარებული იყო უმთავრესად სამხედრო ნადავლზე და ლაშქრობაზე. ფეოდალიზმს ახასიათებდა ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა. არ იყო განვითარებული არც მიწათმოქმედება და არც რაიმე წარმოება. ამიტომ შეუძლებელია ფეოდალურ მონარქიის ძლიერების მხოლოდ წმინდა ეკონომიურ პრინციპებით ახსნა და მტკიცება. მარქსისტულადაც ეს ასეა გაგებული და განმარტებული! ამის შესახებ აი რას ამბობს მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი ფრ. ენგელსი: „ფეოდალურ ხანაში ლაშქრობა და ლაშქრობა ერთ ნიშანია მთავარი ფუნქცია იყო იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეზობელთა სიმდიდრე ყოველ მათგანში იწვევდა მტაცებლურ ინსტინქტს, ვიდრე ქონების დაგროვების საშუალებების ძიებას, რადგანაც მათი შემცნებით ძარცვა უფრო ადვილი და იოლი საშუალება იყო, ვიდრე ქონების შრომით მოპოვება. ფეოდალიზმის ხანაში ლაშქრობას მამული გადიდებასთან უმთავრესად ქონების და ხადავლის მოპოვება ამოძრავებდა“-ო. Фр. Энгельс, Анти-Дюринг. 1918 г. გვ. 242. მისივე, Развит. социализ. от утопии к науке, 1926 г. გვ. 7-8.

ფეოდალიზმის ასეთი სწორი გაგებითაა ჩემ მიერ გაშუქებული საქართველოს მე-XII ს. ძლიერების ხანაც.

სახელმძღვანელოში ფულის წარმოშობა-ღირებულების განმარტება (გვ. 118-120) როგორც ეთითმცდა ანტიმარქსისტულად გაგებული რეცენზენტს მიუღებლად მიაჩნია. მ ჯრამ ვინც ზემოაღნიშნულ გვერდებს და (გვ. 165) გულდასმით წაიკითხავს მისთვის ნათელი იქნება, რომ ფულის ღირებულების ეკვივალენტად ჩემ მიერ ნაგულისხმევია მხოლოდ ადამიანის მიერ დახარჯული შრომა. სხვანაირი გაგება ამის შესახებ დღეს არც კი არსებობს.

ამასთანავე რეცენზენტი მე მარქსიზმის გა-

ყალბებას მიკიყინებს, მაგრამ ამ მხრივ აღნიშნულ სახელმძღვანელოს მიუდგომელი შეფასება პატივცემულ მკითხველისათვის მიგვინდვია.

—

პროფ. აბულაძე ი. რუსულ ქართული ლექსიკონი. სალიტერატურო, სატეხნიკო, საპოლიტიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართვით, ნაწ. 1-ლი გვ. 708. ფასი 6 მანეთი. გამოცემა ავტორის, ქ. თბილისი, 1928 წ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რადიდ საჭიროებას წარმოადგენს დღეს ჩვენოვის წესიერად შედგენილი და კარგად გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის არსებობა.

ამ რამოდენიმე დღის წინათ გამოსული ლექსიკონიც პროფ. აბულაძისა იმ ხანგრძლივ მოლოდინს მოყვა შედეგად, რომლითაც მას მოელოდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ თუ რამდენად გაამართლა მან ეს მოლოდინი, ეს სხვა საქმეა.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ხასიათის ლექსიკონი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მთავარ მოთხოვნილებებს: 1. სწორი თერმინოლოგია, 2. აზრის მკაფიო და სხარტი გამოთქმა, 3. საზოგადოებრივი-პოლიტიკური პროცესების სწორი ხრონოლოგია, 4. პოლიტიკური მოვლენების და თეორიების სწორათ გაშუქება და სხვა. რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს წინამდებარე ლექსიკონი?

ავიღოთ ქართულიც თერმინოლოგია. აქ ხშირად ვხდებით ან სრულიად მოძველებულ, საშუალო საუკუნეების თერმინებს, ან და ახალს, მაგრამ ნაძალადევად გამოგონებულს და, ხშირად არა კეთილხმოვანს, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

Белетристика — საუცხოო მწერლობა (159 გვ.)

Благая лошадь.. ხუიანი ცხენი (184 გვ.)

Предприятие—ხელკეტება (199 გვ.)

Государственная дума—სახელმწიფოს დუმა (400 გვ.)

Половой подбор—სქესობრივი ქვესაკრი 425 გვ.

Происхождение человека—კაცის გაჩენა 425 გვ.

Естественный подбор—ბუნებრივი განსაკრი და სხვ.

აზრის დალაგების რამოდენიმე მაგალითი:

„...სარევოლიუციო ძალთა ორგანიზაციისათვის" გვ. 214.

„...კაპიტალისტურის საზოგადოების ძირითადი კლასი..." 227 გვ.

Г. П. У.—სახელმწიფო პოლიტიკური მართველობა 401 გვ.

Гос. Кап.-зм—სახელმწიფოს კაპიტალიზმი 401 გვ.

Гос. Совет—სახელმწიფოს საბჭო 402 გვ.

Каутский—კაუტსკი.. გერმანულის სოც. დემოკრატიის ბელადი." 657 გვ.

„ასეთი იყო რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენის ბედი" (მე-2 გვერდზე).

და სხვა.

Дух- ახსნილი არის: „სული, გონიერი და ნებისყოფიერი უსხეულო არსება" გვ. 428.

Бюрократия—ბიუროკრატია...

...1927 წლის რევოლუციამ ეს სენი ძირითადი რუსეთის ყველა მთავარ სახელმწიფო დაწესებულებებში თითქმის სავსებით აღმოფხვრა, მაგრამ იგი მაინც კიდევ მემკვიდრეობითი გადაეცა ზოგიერთ ახლად დაარსებულ პატარა ერთა რესპუბლიკის უნივერსიტეტებს". 235.

—Капитализм—„...კაპიტალისტურის წყობილების საუკეთესო ანალიზი, სადაც გადაშლილია მისი ყველა წინააღმდეგობა და ნაწინასწარმეტყველებია, მისი დაღუპვის აუცილებლობა, მოცემულია ლენინის „ეიერ მის ძარითად ნაშრომში „კაპიტალ"-ში გვ. 647.

პოლიტიკური მოღვაწეთაგან ხსენებულ პირველ ტომში მოყვანილია მხოლოდ გ. ზინოვიევი, კამენევი. კალინინი და ჟ. ჟორესი.

მათ შორის ზინოვიევი გამოყვანილი არის: „კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრი... ცეკას წევრი და კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარე"-თ 577. კამენევი—„მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე. ლენინის ინსტიტუტის ხელმძღვანელი,... სვერდლოვი ამჟამად რუსეთის ცკის თავმჯდომარე"—639 გვ.

გაურკვეველი რჩება მკითხველისათვის თუ რატომ არის მოყვანილი არაჩვეულებრივი, მეფე ალექსანდრე I-ლის სამხედრო მინისტრი. კავენიაკი, მწერალი ა. კოლცოვი, ვორონეჟის გუბერნიაში სადღაც მიყრუებული ქალ. ბირეჟჩი და სხვა, იმ დროს, როდესაც ნახსენები არ არის ცნობილი, მსოფლიო პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწე და მეცნიერნი, როგორიცაა: ბუხარინი, ბისმარკი, ბარბიუსი, დანტონი, დაუესი, აქსელროდი, ვანდერველდე, ვილგელმი 2, ვილსონი, მერცენი, დიდრო, დიცგენი, დიურინგი, დოსტოევსკი, ან კიდევ კანტონი, ამსტერდამი, არაბეთი და სხვა მრავალი.

ყოვლად შეუძლებელია ჩამოთვლა ყველა იმ შეცდომებისა, რომელსაც ადგილი აქვს ლექსი-

კონში, ამიტომ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოთ ზემოთმოყვანილი ზოგიერთი მაგალითებით.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ლექსიკონი თავის მიზანს უკედ მიაღწევდა, რომ მას არ მიეღო ენციკლოპედიის ხასიათი.

წიგნი ვერც ტეხნიკური მხრით არის დამაკმაყოფილებელი, რადგან აკინძვაზე ზრუნვა მყიდველს მოუხდება და აუკინძავად მისი მოხმარა კი წიგნს გაანადგურებს.

საყურადღებოა ვისთვის, საზოგადოების რომელი ფენებისათვის არის გამოანგარიშებული ხსენებული ლექსიკონი (ტირაჟი ალბად გულისხმობს ფართე მასას (5.000), და მართლაც, მიუხედავად მასში არსებულ დეფექტებისა, მას შეეძლო მაინც საკმაო დიდი სამსახური გაეწია საზოგადოებისათვის, რომ ასეთი დიდი ფასი აო უშლიდეს ხელს.

ილ. კილაძე.

ვ. მალაქიაშვილი. „შოთა ბროლიძე". რომანი. სოციალური აღმზრდელობის მთავარ სამმართველოს მიერ შეტანილია შვიდწლიანი შრომის სკოლის 1925 წლის პროგრამაში და სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ მიღებულია სასკოლო ბიბლიოთეკებში საკითხვად. გამოცემა მეორე. ტფილისი 1927 წ. 154 გვ. 1 მ. 30 კაპ. 1927 წელს ცალკე წიგნად გამოსულ რომანებ შორის აღსანიშნავია „შოთა ბროლიძე" ვ.მალაქიაშვილისა. ხსენებული რომანი პირველად 1911 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „კულტურას" მიერ. რომანის მთელი ტირაჟი— 3600 ცალი ორი წლის განმავლობაში გაიყიდა. ცხადია, საჭირო გახდა მისი ხელმეორედ გამოცემა და ეს საქმე 1927 წელს იქნა შესრულებული.

„შოთა ბროლიძე" მნიშვნელოვანია იმ გარემოებითაც, რომ იგი მხატვრული ასახვაა 1905 წლის შემდეგი რეაქციის ხანისა და ამ მხრივ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუასთან" ერთად უშუალოდ დაკავშირებულია პირველ რევოლუციასთან. თითებზე ჩამოითვლება ის ნაწარმოებები, რომლებიც პირველ რევოლუციასთან არის დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში. ბევრი მიზეზი აქვს ამ მოვლენას ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მით უფრო ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი ის თითო-ოროლა ნაწარმოები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება და სათანადოდ უნდა შევაფასოთ. საჭიროა, ამ მხრივ ჩვენ ვერ დავიკვეხებთ სათანადო ყურადღებით ლიტერატურულ მოვლენებისადმი, არა გვაქვს ცოტად თუ ბევრად მისაღები გარჩევა ლიტერატურულ მოვლენათა, ასახვა ჩვენი მხატვრული პროზის გზებისა და თანდათანი განვითარება თანამედროვე პროზისა. ამ მხრივ ჩვენს სკოლას თვით უხდება ლიტერატურულ სახელმძღვანელოების გარეშე დამოუკიდებლად სიარული, ლიტერატურულ ნიმუშებთან უშუალოდ გაცნობა და კრიტიკული შეფასება.

„შოთა ბროლიძე" კი საყურადღებოა, სხვათა შორის, ისტორიულის თვალსაზრისითაც. რომანში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოხატულება ჰპოვა რეაქციის ხანამ. მთავარი გმირი შოთა ბროლიძე რევოლუციისთვის თავგანწირული მებრძოლია. ის მუშაობს სოფელში, გლეხებში, მუშაობს ქალაქში, ქარხანაში. ის მიწის მუშის შვილია, და, ცხადია, იცნობს სოფელს, დაჩაგრულებს და მათ სულისკვეთებას. დინჯია, „აუჩქარებელი, მომფიქრებელი". ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ის ცდილობს თავისი სიტყვა თქვას. ეგ სიტყვა კი მიმართულია რევოლუციონური ცეცხლის გაღვივებისაკენ, დროებით მიმქრალ იმედების გაშუქებისაკენ, იმედების ასახვისაკენ. შოთას უჭერიან და დიდი გავლენაც აქვს ამხანაგებში. მას ნათელი პროგრამა აქვს შედგენილი და ამ პროგრამას იგი რომანის გრძელ მანძილზე სხვადასხვა დროს ააშკარავებს. „ჩვენს მოქმედებაში ჩაქსოვილი უნდა იყოს კლასთა ბრძოლის გაღვივება," ამბობს ის. „სოფლის მშრომელი მაჯა ჩვენ, ქალაქისას უნდა ამოგვიდგეს გვერდში, და აგრე შრომის წითელი დროშით უნდა გავსწიოთ წინ აღთქმის ქვეყნისაკენ". რომანში მოცემულია დამახასიათებელი სურათი სოფლელი ქალისა, თამროსი, რომლის გონება, საერთოდ, ვიწროთ არის შემოფარგლული, ხოლო აზროვნებით სოფლისა და თავის მშობელნათესავების ტრადიციებს, ზეჩვეულებებსა და შეჩვეულებებს ვერ გასცილებია. შოთასთან მისი სიყვარული განსაკუთრებით ნაზია და უანგარო. სულ სხვაა ელენე, პირველი სატრფო შოთასი. ის უფრო შეგნებულია, ვიდრე თამრო, უფრო მაგარი ნებისყოფისაა და უფრო თავისუფალი ყოველგვარ შემბოჭველ ტრადიციებისაგან. ელენე საკმაოდ გარკვეულია პოლიტიკურ საკითხებში და კრებებზედაც თამამად გამოდის თავისი აზრით. ამ მხრივ და ბევრ სხვა მხრივაც ის უფრო ახლოა შოთასთან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შოთა საბოლოოდ ელენესთან არჩევს ყოფნას. პრიმიტიული კოოპერატივი, სოფლის მასწავლებელი, კრებები, გლეხები და პროპაგანდისტები ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ — მღვდელი ანტონი, სიკო ალიხანოვი, სოფლის ორგული მამასახლისი და სხვ. — ყველაფერი ეს მეტად დამახასიათებელია რეაქციის ხანის სოფლისათვის. არის მხატვრული თვალსაზრისით სავსებით გამართული ადგილები. საერთოდ რომანი ხალისით იკითხება და ჩვენს მოსწავლეებს ბევრ მასალას მისცემს ჩვენი ახლო წარსულის დასასურათებლად.

მ. კანელი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმა. განათლების კომისარიატმა შეიმუშავა საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმა. გეგმა ეხება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შეტოღებას საქართველოში 1928-29 სამოსწავლო წლიდან 1934-35 წლამდე. ე. ი. საყოველთაო სავალდებულო სწავლების მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს შვიდი წლის განმავლობაში, საერთოდ, მხოლოდ ჩამორჩენილ მაზრებში, როგორიც არის ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები და თურქთა მოსახლეობის რაიონები, აქ სამზადისი მუშაობა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებისთვის დასრულდება ათი წლის განმავლობაში. სასკოლო აღმშენებლობას კი დასჭირდება ათ წელზე მეტი. რაც შეეხება დაწინაურებულ მაზრებს, აქ კი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის პირობები გაადვილებულია და მისი შემოღება შესაძლებელია 3-5 წლამდე.

გეგმაში გათვალისწინებულია შვიდი მთავარი საკითხი: 1. სკოლის ასაკის ბავშვთა რიცხვი, 2. მოთავსებულ მოწაფეთა რიცხვი, 3. საჭირო ჯგუფების და სკოლების გახსნა, 4. მასწავლებელთა საჭირო რიცხვის მომზადება, 5 ახალ სასკოლო შენობების აშენება, 6. ძველი შენობების შეკეთება და 7. საერთო ფინანსიური გეგმის შედგენა.

განათლების კომისარიატის კოლეგიაში. განკომისარიატის 11 იანვრის გადაწყვეტილებით ადგილობრივ განათლების განყოფილებების გაგეგებმა განსახკომის მუშაობასთან დაკავშირების მიზნით ყოველ წლიურად უნდა გაიკეთონ მოხსენებები განკომისარიატის კოლეგიაში თავიანთ მუშაობის შესახებ. ასეთი მოხსენება უკვე გაიკეთა თებერვლის შუა რიცხვებში განკომისარიატის კოლეგიაში გორის განკომის განყოფილების გამგემ შეროზინმა, რომელმაც ფართედ დაახასიათა მაზრაში სწავლა-განათლების საქმე და მიუთითა იმ ნაკლებზე, რომელნიც ახლო მომავალში აღმოფხვრილ უნდა იქნას. კოლეგიამ მოხსენების გამო გამოიტანა სათანადო სადირექტივო რეზოლუცია.

სახელგამის მუშაობა. როგორც ვიცით, სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო მუშაობა 1921 წლიდან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მას მუშაობა, მაშინ უნდა ითქვას, რომ მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელზე მეტია. აი ციფრებიც.

სახელმწიფო გამომცემლობას გამოუცია სხვადასხვა ხასიათის წიგნები:

		რაოდენობა		ტირაჟი:
1921	წელს	23	წიგნი	102.000
„ 22	„	52	„	218.000
„ 23	„	133	„	628.000
„ 24	„	97	„	562.000
„ 25	„	75	„	570.000
„ 26	„	246	„	1.008.000
„ 27	„	398	„	1.463.000

1928 წლის საგამომცემლო გეგმა შედგენილია, რომელიც დამტკიცებული იქნება ამ დღეებში.


აგრეთვე შედგენილია ბუთ წლიანი საპერსპექტიო გეგმა. სეზონი გამომცემლობის დაიწყება მარტში.

ამ 1928 წლის გეგმა ძალიან ფართოა, დაახლოვებით 30%-მეტი წასულზე. თუ რომ ჭარბალდის ნაკლებობამ ხელი არ შეუშალა.


პოლიტგანათლების მთავარ სმართველობასთან არსებულ საბიბლიოთეკო კაბინეტის საექსპერტო-საგამომცდო კომისიის პირველი სესია მუშაობდა თებერვლის 15—19-დის. გამოცდებზე გამოცხადდენ ტფილისიდან 21 კაცი და ქუთაისიდან 3. ამათგან გამოცდები დაიჭირა და ბიბლიოთეკის მომუშავის წოდება მიიღო ტფილისიდან ათმა და ქუთაისიდან სამივემ.

კომისიის შემდეგი სესია დანიშნულია მაისის შუა რიცხვებში.

ი ე მ ი რ ი



რას დაინახავს, როცა მოწაფე დააგვიანებს გაკვეთილზე.



რას დაინახავს, როცა მასწავლებელი დააგვიანებს გაკვეთილზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ-

1. **ნ. ძიძიგური:** ქალთა საერთაშორისო დღე 1

პროფესიონალური ცხოვრება

2. **მ. აპლეტონი:** ბელგიის სოციალისტურ მასწავლებლობის ყრილობაზე . 5
3. **ნ—ი:** მტკივნეული საკითხები 8
4. **მ. სტეფანოვი:** ხელფასის საკითხი სარაიონო კრებებზე 9

ადგილებიდან

5. **ლ. ბზვანელი:** ქუთ. მაზრის გან. მუშ. კონფერენცია 11
6. **გ—ლი:** მე-8 საქალაქო კონფერენცია 12
7. **ივ. დავითიანი:** თელავის განყ. მუშ. კავშირის წლიური მე-7 კონფერენცია 14
8. **ნ. კობახიძე:** ბორჩალოს მაზრის გან მუშ. კავშ. განყ. მე-9 კონფერენცია 17
9. კინტრიშის თემის გან. მუშაკთა კონფერენცია 20

ადგილკომების მუშაობა

10. ხევ-ერკეთი გვ. 21; 11. საჩხერე გვ. 21; 12. დვაბზუ გვ. 22; 13. სურები გვ. 22

ახალი სკოლის საკითხები

14. **მ.ხრისტოლუბოვი:** სკოლა ღია ფანჯრებით 24
15. **ნ. ნინუა:** ორიოდე სიტყვა საზოგადოებათმეცნიერებაზე 27
16. **გ. ს.:** მოწაფეთა თვითმართველობა სპეცტეხნიკუმებში 31

სკოლის გარეშე განათლება

17. ექსპერტიზა საბლიოთეკო მომუშავის წოდების მისაღებად 34

თვითგანვითარებისათვის

18. პ. **კაკულია:** თვითგანვითარება და მისი ორგანიზაცია 36
19. წრეების მუშაობა ბანძის რაიონში 38

ხელოვნება

20. **ვ. მალაქიაშვილი:** მაქსიმ გორკი 39


ბიბლიოგრაფია

21. **ს. მაკალათია:** ბ. უჩანეიშვილის რეცენზიის გამო 42
22. პროფ. **ი. აბულაძე:** რუსულ-ქართული ლექსიკონი 44
23. **ვ. მალაქიაშვილი:** „შოთა ბროლიძე“ 45

ქრონიკა 46

იუმორი 47

Mens sana in corpore sano!



ფიზკულტურა ამაგრებს სხეულს, კუნთებს და ნერვებს. ის ხელს უწყობს ჯანმრთელობას და გამძლეობას.

მასწავლებელი ქალი არა მარტო აღმზრდელია—ის დედაცაა. ამიტომ ის განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს სხეულის სისაღესა და ჯანმრთელობაზე, რასაც ხელს უწყობს ფიზკულტურა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲘᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲚᲡᲐ.

ფასი **40** კაპ.

გ 20 მუ
1928/2

გამოვიდა და იყიდება

ლიტერატურული საშვრები

სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის

მოკლე ლიტერატურული ლექსიკონით. შედგენილი **თ. ბეგიაშვილის მიერ.**

212 გვერდი ფასი 1 მანეთი და 20 კაპიკი.

მსურველებმა უნდა გამოიწერონ „განათლების მუშაკის" რედაქციიდან და გაუგზავნით ჩვენი ხარჯით. შეიძლება ნახევარი ღირებულების ფასდადებითაც.



სტამბა „ზარია ვოსტოკა-"სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 848 მთავლ. № 470 ტირაჟი 2500